918 Გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

55 სხდომა.

შაბათი, ნოემბრის 2, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე **ნიკოლაზ ჩხეიძე.**

მდივნობს პარლამენტის მდივნის ამხანაგი ი. აბაკელია.

პრეზიდიუმში არიან პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგნი **იესე ბარათაშვილი** და **ექვთიმე თაყაიშვილი.**

კრება ნაშუადღევის 12 საათზე იწყება.

თავმჯდომარე. გთხოვთ დაბრძანდეთ. კრება გახსნილი გახლავთ. მდივანი მოგახსენებთ წესრიგს

დღიური წესრიგი.

მდივანი. (კითხულობს) 1 გაგრძელება მსჯელობისა **დამფუძნებელ** კრების შესახებ.

მომხსენიებელია პარლამენტის წევრი ალექსანდრე ლომთათიძე.

2. კანონ პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დ. შარაშიძე.

3. კანონ-პროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატისა და ხარჯთაღრიცხვისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დ. ონიაშვილი.

4. კანონ-პროექტი სახელმწიფო ქალალდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დ. ონიაშვილი.

5. კანონ-პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დ. თოფურიძე.

6. დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლისადმი 30 მილიონის სალაკვიდაციო ფონდის შესახებ.

7. პარლამენტის წევრის ალ. ახმეტელის შეკითხვა მთავრობისადმი ტფილისში უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებულ რაზმის არსებობის შესახებ.

8. პარლამენტის წევრთა ნიკ. თოფანოვის და ლეონ თარხანოვის იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი შეკითხვა სასამართლოს განსაკუთრებულად პოლიტიკურ პატიმართა ბუდუ მდივანისა და სხვ. სატუსალოში უბრალოდ დებოდ მწყვდევის შესახებ.

9. პარლამენტის წევრის დავიდხანიანის შინაგან საქმეთა და სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრებისადმი შეკითხვა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების შესახებ.

პარლამენტი უცვლელად ამტკიცებს დღიურ წესრიგს.

გაგრძელება მსჯელობისა დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შესახებ.

თავმჯდომარე. ჩვენ კამათი შეეწყვიტეთ გუშინ წინ ამ დაფუძნებულ კრების დებულების შესახებ.

მიღებული გახლავთ მე-3-ე მუხლი. მომხსენებელს ვთხოვ.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე-4-ე მუხლს). **მუხლი მე-4-ე.** არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ვინც კანონით მეერ მიღებულ წესისამებრ გიჟად ან ბრეკაზედ შეშლილადაა ცხოლრებული, აგრეთვე ყრუ მუნჯი, თუ ისინი სხვისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

თავმჯდომარე. ვინ წინააღმდეგ სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? მიღებულია. შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე-5-ე მუხლს) **მუხლი მე-5-ე.** საარჩევნო უფლება ჩამოერთმეოდეთ:

1) სასამართლოს მიერ სასჯელ-მისჯილთ, თუ განაჩენი ძალაშია შესული და თუ მათ ართმეული უფლებები არ დაბრუნებანთ; ბ) ციხეში ან მისჯილი სასჯელის მოხდის შემდეგ ათის წლის გასულამდე; 3) ვისაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსალო განყოფილება, გამასწორებელნი ხანა, სატუსალო ან ციხე მდგომარეობის უფლებების ჩამორთმეოდეთ ანუ შეზღუდვიან, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთის წლის გასვლამდე.

თავმჯდომარე. ეს მუხლი განიხილეთ რამდენიმე ნაწილად. აი ამის შესახებ ვისა ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი ამ ნაწილის. მაშასადამე ეს ნაწილი შეფასებულია მიღებულია. შემდეგი მეორე ნაწილი.

ალ. ლომთათიძე. შემდეგ. (კითხულობს) 2) დასჯილთ ქურდობისთვის, გარდა იმისა, რომელიც გადავლესწინებულია იმ სასჯელთა წესდების მე-171 მუხ. მე-2 პუნქ. მიერ, რომელთაც მოიმოგებელი მოსამართლეი მიუსჯიან ხოლმე (კან. კრებ. ტ. XV გამოც. 1914 წ.), დასჯილთ „მაშინეკობისათვის", (ეს სიტყვა ფურნალებში გახლავთ ჩასმული, ვინაიდან ტერმინი არ მოგვეპოვებდა).

ხმ. კედია. (ადგილიდან) ამიტომ, რომ საქართველოში არ ყოფილა „მაშინეკობა"!

ალ. ლომთათიძე. უკაცრავად... (კითხულობს) ჩამბარებული ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისა, რომელიც გათვალისწინებულია იმავე წესდების მე-177 მუხ. მეორე ნაწილისა და სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-1681 მუხლის მეორე ნაწილის (1912 წ. გაგრძ.) მიერ (კან. კრებ. ტ. XV), მოპარულის დამალვისათვის, ბინაზრახ მოპარულის ყიდვისა ან გირაოდ მიღებისათვის. თუ ეს ხელოვნად დაფასებავ, ფალსიფიკაციისთვის (подлогъ), მეკვანძეობისა, ქრთამის ღებისა, ან ქრთამის მიცემისათვის და აგრეთვე მაბანკლობისთვის (сводничество) და ბარაფენლობისთვის ხელის შეწყობისათვის (კან. კრებ. ტ. XV სისხლ. სამ. დებ. გამ. 1909 წ., ფურ. 524 526, 526, 527 და 529), და აგრეთვე ისეთ მოქმედებისათვის, რომელთა მიზანი ბევრ საკანონმდებლო დაწესებულებათა ან თვითმართველობის ორგანოთა არჩევნებს თავისუფლების და სიწმინდე დარღვევა, — სამის წლის გასვლამდე დღიდან სასჯელის მოხდისა;

თავმჯდომარე. ვის ჰნდავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? ეს ნაწილი მიღებული გახლავთ, როგორც წარმოდგენა კომისიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმთათიძე. (კითხულობს შემდეგ ნაწილს მუხლისას.) **მესამე ნაწილი.** გადაკეთებულ (несостоятельный) მოვალეთან, რომელნაც ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენის თანახმად აღიარებულ არიან ბოროტ-გამზრახველ კოტრებად, სამის წლის გასვლამდე დღიდან ამ აღიარებისა.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული გახლავთ ეს ნაწილიც.

ლიმთათიძე—მეოთხე ნაწილი. (კითხულობს) იმ სამხედრო პირთ, ვინც სამხედრო სამსახურიდან გამოიქცა, მაგრამ, მე მგონია, რომ ეს ნაწილი უნდა ამოშალოს, რადგან ჯარს უფლება ჩამორთმეული აქვს.

თავმჯდომარე. მეხუთე მუხლის მეოთხე ნაწილის შესახებ სიტყვა ეკუთვნის არსენიძეს.

რ. არსენიძე. (ს.-დ.) მე მგონია, რომ ჩვენ მართლა მივიღეთ ერთი შეწყრომება. მესამე მუხლი ჯარში მოსამსახურეებს ეანაკუთვნი პასიური უფლებას? მაგრამ, მე მგონია, ამ უფლებიდან უნდა გამორიცხულ იქმნენ დეზერტირები, ამიტომ, მე მგონია, მუხლის ეს ნაწილი უნდა დავტოვოთ. თუ ჩვენ ახე არ მოვიქეცით, მაშინ დეზერტირები მონაწილენი იქნებოდნენ პასიურ უფლების. ჩვენის აზრით კი, ეს უფლება უნდა ეეყაროს მათ, რომელნიც ჯარიდან გამოქცეულნი არიან და შინ სხედან.

თუ კანონმა ვერ მიადწია, მათამდის, ვერ ჩასვიდა ხელი და სასამართლოში დროზე ვერ მისცა, ჩვენ ბომ არ შეგვიძლიან სიმიედო პირებად დავსაბოთ ეს დეზერტირები და პარლამენტში წამოგასკუპოთ. და ეი ამიტომ მე მგონია, რომ მეოთხე მუხლი უნდა დარჩეს.

თავმჯდომარე. კომისიის აზრით, მეხუთე მუხლი მეოთხე ნაწილი არ არის საჭირო. პარლამენტის წევრი არსენიძე იმ აზრის არის, რომ ეს ნაწილი უნდა დარჩეს.

ვინ არის მომხრე, რომ ეს ნაწილი მეხუთე მუხლის დარჩეს? გთხოვთ ახწიოთ ხელი. მაშასადამე ეს ნაწილი რჩება. შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე. ნაწილი. მეხუთე. (კითხულობს) ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს რუსიას.

მ. რუსია. (ს.-დ.) ამის შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი უკვე. ეამტკიცებდით, რომ საარჩევნო უფლება მიეცეთ ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ.

იურიდიულ კომისიის წინადადებით ვთხოვ პარლამენტს ეს მუხლი ამოიშალოს. მაშინ საარჩევნო უფლება იქნება იმათიც. დამფუძნებელ კრების კომისიამ კი, როგორც მოგახსენეთ, ეს მუხლი არ ამოშალა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის კედია სპირიდონს.

სპირიდონ კედია. (ერ.-დემ.) წინა სხდომაზე ჩვენ დავსაბუთეთ, თუ რატომ იყო შეუფერებელი ადმინისტრაციის მოსამსახურეთათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების წართმეეა. ეხლა ჩვენ ვიცავთ აქტიური უფლებას, რაც შეეხება პასიურ უფლებას ჩვენ ამის უფლებას ადარ ვაძლევთ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს არსენიძეს.

რ. არსენიძე. (ს.-დ.) წარსულ კრებაზე, როდესაც სეიერთად ძირითად პრინციპებს ვარკვევდით, ჩვენ მივიღეთ ერთი პრინციპითგანი ეს გახლავთ ის, რომ ყველა ჩვენს მოქალაქეს მიეცეს საარჩევნო უფლება.

ამ პრინციპის მიხედვით, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ ადმინისტრაციის მოსამსახურეთ არ მივანიჭოთ ეს უფლება. ამიტომ ეს მუხლი უნდა ამოვშალოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მათ უფრო საჭიროა, რომ ჩვენს ადმინისტრაციაში მყოფი რიგიან ადამიანებს არ ეყაროთ პოლიტიკური უფლება. თუ ასე მოვიქეცით, მაშინ პოლიტიკურ ღირსების პირნი. ჩვენს ადმინისტრაციაში ადარ შეეღენ და ჩვენი ადმინისტრაციის პოლიტიკური დონე დაქვეითდება. ჩვენი წინადადებაა მეხუთე მუხლი ამოიშალოს.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი შალვა ნუცუბიძე.

შალვა ნუცუბიძე. (ს.-ფედ.) ამ საკითხის გამო, პარლამენტს ჩვენი აზრი უნდა მოვახსენოთ.

დღეს უნდა მივაქციოთ პარლამენტის ყურადღება იმ გარემოებას, იმ საბუთს, რომელიც პარლამენტის წევრმა არსენიძე აქ წამოაყენა.

სწორედ იმ მოსაზრების გამო, რომ არჩევნები იყოს ქართველი ხალხის ნამდვილ ნებისყოფის გამომხატველი—და ესე გვესმის ჩვენ დემოკრატიზმი,—სწორედ საჭიროა, რომ ადმინისტრაციის მოხელეებს, არ მიეცეს არც პასიური, არც აქტიური საარჩევნო უფლება.

პარლამენტის წევრი არსენიძე გვიზიარებს აზრს, რომელიც დემოკრატიულ თვალსაზრისით მარტივი არის, და ამბობს, რომ საარჩევნო უფლება ისეთი უაღრესი პოლიტიკური უფლებაა, რომ ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. რა თქმა უნდა, დემოკრატიულ თვალსაზრისით, ეს მისაღებია, მაგრამ, ბატონებო, ის თვალსაზრისი, რომელსაც ბ. არსენიძე ადგია, რიცხვობრივ ნიადაგს ემყარება. ჩვენ კი თვისებრივ თვალსაზრისს ვემყარებით, და ვამბობთ, რომ თუ ადმინისტრაციას მივცემთ უფლებას, სწორედ მაშინ შეიბღალება ხალხის ნამდვილი ნებისყოფის გამოთქმა. ბატონ არსენიძეს აზრით ნამდვილ ნებისყოფის გამოთქმა მდგომარეობს არჩევნების დახურულ მხარეში ე. ი. ბ. არსენიძე ჰხედავს ერთგვარ გარანტიას ამ მხარეში, რომ ადმინისტრაციას არ ექნება საშუალება გავლენა იქონიოს არჩევნების მოხდენაზე. რადგან იგი მოკლებულია პასსიურ საარჩევნო უფლებასაც. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თავისუფალ ნებისყოფის გამოთქმა, სწორედ იმიტომ, რომ იყოს თავის ნებისყოფის დახურული გამოთქმა, აი სწორედ ამ მიზნისთვის საჭიროა, რომ ადმინისტრაციას არ მიეცემა არც პასსიური და არც აქტიური საარჩევნო უფლება

აი, ჩვენ ასე გვესმის დემოკრატიზმი, და არა ისე და იმ თვალსაზრისით, როგორც ბ. არსენიძემ წამოაყენა.

ბატონ არსენიძეს მოჰყავდა კონკრეტიული მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ მისი დებულება დემოკრატიზმის პრინციპზე არის აგებული და დამყარებულია.

წინადაც იყო ნათქვამი, და ეხლაც მინდა მივაქციო პარლამენტის ყურადღება სულ სხვა მაგალითზე, რომელიც ნათელ ყოფს ამ წინადადების სრულ მიუღებლობას.

მართლაც და არა ერთხელ ითქვა ამ ტრიბუნიდან, მაგრამ, კიდევ იძულებული ვარ გავიმეოროთ, სულ ელემენტარული ჭეშმარიტება: წარმოიდგინეთ, რომ გუბერნიის კომისარი არის საარჩევნო სიაში შეტანილი. მე გიკითხებთ,—ნამდვილი ნებისყოფის გამოთქმა იქნება ის თუ არა, რომ მთელ გუბერნიის საადმინისტრაციო აპარატი შეეცდება გუბერნიის კომისრის გაყვანას?

თავისუფალ ნებისყოფის გამოხატვი იქნება თუ არა ის, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელი იმ მიზნით, რომ გუბერნიის კომისარი გაიყვანოს, არავის მისცემს ხმას?

შეიძლება თუ არა, რომ ის ემსახურებოდეს მხოლოდ ერთ მიზანს,—გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნიის კომისრის დეპუტატად გაყვანის მიზანს? მე ვამტკიცებ, რომ ეს შესაძლებელი არის, და აუცილებლად ისეც მოხდება.

ბატონებო, მე არავის ვეხები აქ. არც ერთ ჯგუფს, არც ერთ პარტიას. მე ვამბობ, სრულიად ობიექტიურად, მიუხედავად იმისა, ვინც უნდა იყოს საგუბერნიო კომისარად,—იქნება ის სოციალ-დემოკრატი, ფედერალისტი, თუ სხვა. მე ვამბობ, მაინც, რომ ეს მდგომარეობა იძულებით შეიქმნება.

თუ მივიღებთ იმ დებულებას, რომელსაც არსენიძე იცავს, მაშინ მთელი აპარატი გამოყენებული იქნება, რომ გუბერნიის კომისარი დეპუტატად გაიყვანონ.

თუ თქვენ ეს მიგაჩნიათ სასურველ მოვლენად, თუ თქვენ ჭფეკრობთ, რომ ეს სწორედ ის გზა არის, რომელიც საესებით გამოხატავს ხალხის თავისუფალ ნებისყოფას და ამაში ჰხედავთ დემოკრატიზმს,—მე მგონია, თქვენ ძალიან ცუდათ გგიგიათ ეს დემოკრატიზმი.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება. თქვენ მოგეხსენებათ, რომ არსებობს სახელმწიფოებრივი მექანიზმი. თქვენ მოგეხსენებათ, ალბად დამახასიათებელი თვისებანი ამ მექანიზმისა. ყოველი მოქალაქე, ვიდრე ჩაებმება ამ სახელმწიფებრივ მექანიზმში, ის თავისუფალი მოქალაქეა, ხოლო, როდესაც მოქალაქე უკვე საერთო სახელმწიფოებრივ მექანიზმში შევა, ის აღარ არის თავისუფალი მოქალაქე და მაშასადამე, არც თავისუფალი ამომრჩეველი, არამედ, ის არის ერთად ერთი ნაწილი საერთო სახელმწიფოებრივ მექანიზმისა. თუ ეს ასე არ მივიღეთ, მაშინ სრულიად ყალბი წარმოდგენა გვექნება თავისუფალ ნებისყოფაზე. და ის მოსაზრება, რომ ასეთი პირი უსათუოდ ისეთივე თავისუფალი უნდა დარჩეს, როდესაც სახელმწიფოებრივ აპარატის ნაწილში შედის,—ეს მე მიმაჩნია ყალბ და დემოკრატიული თვალსაზრისით მიუღებელ მოსაზრებად. მე მგონია, რომ ეს ყველასათვის ცხადია. ბ. არსენიძემ ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ ამ ცოდნით არ სარგებლობს. რა თქმა უნდა ის არგუმენტი, რომელიც წამოაყენა აქ ბ. არსენიძემ,—სრულიად მიუღებელია.

საკითხი თავისუფალ ნებისყოფის გამოთქმის შესახებ ისმის არა სახელმწიფოებრივ აპარატის მიმართ,—არამედ იმათ შესახებ, ვინც უნდა შეჰქმნას ასე თუ ისე თავისუფალ ნებისყოფის გამოთქმის აპარატი, ესე იგი იმათ შესახებ, ვინც შეადგენს დიდ უმრავლესობას.

ნამდვილი დემოკრატიული პრინციპი არის გატარებული იმათთვის, ვინც სდგას სახელმწიფოებრივ აპარატის გარეშე და არა მათთვის, ვინც შეადგენს ამ სახელმწიფოებრივ აპარატის ერთ ერთ ვინტს. აი, ამ მოსაზრებით ს.-ფ. ფრაქციას სრულიად მიუღებლად მიაჩნია, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საე დემოკრატიულ თვალსაზრისით, და თავისუფალ ნებისყოფის გამოთქმის თვალსაზრისითაც ადმინისტრაციისთვის საარჩევნო უფლების მინიჭება,—ამიტომ მას მიუღებლად მიაჩნია ამ მუხლის ამოშლა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს კირილე ნინიძეს.

კირილე ნინიძე. (ს.-დ.) ბატონებო, აქ მე მგონია გაუგებრობა არის. რომ დემოკრატიის სახელით არ ილაპარაკებენენ ამ მუხლის წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ შეგვეძლო სხვა რამ გვეთქვა, მაგრამ დემოკრატია, მე მგონია აქ არაფერ შუაშია. არჩევნების უმთავრესი მოთხოვნილება უნდა იყოს, სწორედ თავისუფალად ნებისყოფის გამოხატვა. და ამ თავისუფალ ნებისყოფის გაათხატვას არაფერს დაუშლის, მაგალითად, გუბერნიის კომისარის საარჩევნო სიაში შეტანა. თვის თავად ცხადია, ადმინისტრაცია ვერავითარ გაყვენას ვერ მოახდენს, ვერც ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, ვერ მუშტით, როგორც აქ გვაშინებდნენ, რადგანაც არჩევნები იქნება ფარული. სულ სხვა არის თუ ამ არჩევნების ორგანიზაცია ისე იქნება მოწყობილი, რომ გუბერნიის კომისარს, ან სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენელს, საშუალება ექნება ჩაერიოს ნებისყოფის გამოთქმის დროს, მონაწილეობა მიიღოს ამ არჩევნების მოწყობაში. აი მაშინ, მართლა, ნება-ყოფის გამოთქმა არ იქნება სრული, მაგრამ ეს ხომ ესე არ არის.

თითონ საარჩევნო წესი სულ სხვა ნიადაგზე გვაქვს აშენებული. ამ არჩევნებს ხელმძღვანელობს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს გუბერნიის კომისართან და არც ადმინისტრაციის მოხელეებთან.

რაც შეეხება ბ. ნუცუბიძის განაცხადებას, რიცხვობრივ და თვისობრივ თვალსაზრისის შესახებ, მე მგონია. თუ ამ ნიადაგზე გადმოვიტანთ ამას, მაშინ ბევრ საყურადღებო რამეს აღმოვაჩენთ. მაშინ ხმა უნდა წავართვათ ვაჭრებს, რადგანაც ისინი სპეკულიაციას ეწევიან; ხმა უნდა წავართვათ მღვდლებს, რადგანაც ისინი კლერიკალობას ავრცელებენ; სოციალ-ფედერალისტების პროგრამით, ხმა უნდა წავართვათ პროფესორებს, რომელთა გვლენის ქვეშ სტუდენტებს შეუძლიან მისცენ ხმა. თუ ამ ნიადაგზე გადავედით, თავის თავად ცხადია, რომ ერთი პრინციპი არ გვექნება. პრინციპი კი უმთავრესად ის არის, რომ თავისუფალ ნებისყოფის გამოხატვაში, როგორც აქ ბრძანებენ, ხალხს ხელი არავინ შეუშლონ.

მე კარგათ მესმის თქვენი გრძნობა. ჩვენ თვითპყრობელობის არსებობის დროს, ჩვენ შევითვისეთ ერთი მცნება: ჩვენ გვაქვს დარჩენილი სიძულვილი, საზოგადოთ, შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი, და მით მის მოხელეებისადმი, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ მისი მოხელენი მეკრთამეტენი იყვნენ და საზოგადოდ ხალხს ებრძოდნენ. ამიტომ ჩვენ ვეშინობთ, რასაც საზოგადოდ, სამინისტროსან აქვს კავშირი, მას უნდა ვებრძოლოთ და ჩვენ იმას ვებრძვით. ასე საკითხის დასმა არ შეიძლება. ეს არის გრძნობა, რომელიც ჩვენ შევითვისეთ. მაგრამ სახელმწიფოსთან მას არავითარი დამოკიდებულობა არა აქვს. თქვენ სთქვით პირდაპირ, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან მეორე ხარისხის მოქალაქენი. მაშინ სხვა საქმე არის, მაშინ სხვა ბევრ მოხელეზეც შეიძლება ითქვას ეს. მაგრამ ასე საკითხის დასმა, ჩემის აზრით ყოველთან შეუძლებელი არის. ამიტომ ეს მოსაზრება თქვენი არ არის საფუძველიანი და ჩვენ, რასაკვირველია, მას ვერ გავიზიარებთ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს გობერჩილს.

ივანე გობერჩილი (ს.-ტ.). ბატონებო, მაშინ, როდესაც ჩვენ გამოვთქვით ჩვენი აზრი ადმინისტრაციის შესახებ, იმ ადმინისტრაციის შესახებ, რომელსაც დავალებული ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს წესიერების დამყარებაში, არჩევნების დროს, როცა საარჩევნო აგიტაცია იქნება, ეს აზრიც დღეს უცვლელად რჩება. ორატორებმა სავსებით დაამტკიცეს, რომ სწორეთ დემოკრატია და არჩევნების წესიერად დაყენება, მოითხოვს იმას, რომ ეს კატეგორია ადმინისტრაციის მოხელეებისა, მოკლებული იყოს იმ უფლებას, რომელიც უნდა ეკუთნოდეს თავისუფალ რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს.

საქმე იმაშია, რომ მას უნდა აერთვის ეს უფლება არა იმიტომ, რომ ის მეორე კატეგორიის მოქალაქე არის, არამედ იმიტომ, რომ თვით სახელმწიფოს ინტერესი, მისი, მოქალაქის ინტერესი ამას მოითხოვს. ეს მართალია, მსხვერპლი არის, მაგრამ ეს მსხვერპლი მან უნდა გაიღოს თუ ის შეეხებული მოქალაქეა. ჩვენ ამით სრულიად არ გვსურს ვისმეს უფლება შეეზღუდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ თვალსაზრისზედ იდგა უმრავლესობა საარჩევნო კომისიისა, რომელმაც ეს მუხლი შეიტანა ამ დებულებაში. შესაძლებელია თქვენ ბრძანოთ, რომ ხმის მიცემის დროს, ადმინისტრაციას შეუძლიან რაიმე გავლენა მოახდინოსო. ეს არ შეიძლება. ხმის მიცემის დროს ადმინისტრაცია ნამდვილ ადგილ-ს ვერ მოახდენს, იმიტომ, რომ ადმინისტრაციას წარმომადგენლები საარჩევნო კომისიაში არ ეყოლება. მაგრამ აი, სწორედ იმ დროს, როდესაც სამსაჯ-დისში იქნება ხალხი, როცა საარჩევნო კომპანიის წარმოება იქნება, სწორედ იქ საჭირო არის, რომ ადმინისტრაციის ნაწილმა დაიცვას წესიერება, ესე იგი თავისუფალ ჭოს აგიტაცია და პროპაგანდა. და სწორედ აქ პროფესორები მეტად საჭირო არიან. თუ კი პროფესორები გამოიჩენენ თავის ცოდნას თავის ნიჭს, თუ ამ პროფესორებმა ხალხს კარგათ შეაგნებინეს, რომ ესა თუ ის სია უნდა ჩაადონ ყუთში, მაშინ გარწმუნებთ, ეს ინება მეტად სასურველი არჩევნები.

მაგრამ რაც შეეხება პოლიციას, რაც შეეხება ადმინისტრაციას, მათ შეუძლიათ ბორორტად გამოიყენონ თავისუფლება, თუ მათ მივანიშებთ აქტიურ, ან პასიურ უფლებას. იმიტომ, რომ ადამიანის ბუნების შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლიან. ამ საარჩევნო კომპანიის დროს, მე დარწმუნებული ვარ, მღელვარება იქნება, ესა თუ ის შეტაკება შეიძლება მოხდეს სხვა და სხვა ადგილებში, ამ დებულების ძალით, საარჩევნო საქმეში ადმინისტრაცია უნდა ჩაერიოს, უნდა ჩაერიოს ადმინისტრაციის კომისრები, მილიციონერები, ესა თუ ის მოხელეები თუ კი კი რომ საქმე იქამდის მივიდა, რომ შეხლა-შემოხლა, ან დიდი შეტაკება მოხდა, მაშინ თვით გუბერნიის კომისარი უნდა მოხდეს ეს და დამაყოროს წესიერება. ასე რომ იმ პირთ, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ წესიერების დამყარებაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ უნდა აეყაროთ ეს უფლება, თუ თვით წესიერების დამყარების დროს, ისინი თავისუფლებით ისარგებლებენ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ისინი ადამიანები არიან, და როცა მათი მომხრენი და მათი პოლიტიკური მოაზროვნენი, შეეტაკებიან მეორე ჯგუფს, დამარწმუნეთ, ისინი თაიცავენ თავის პოლიტიკურ ჯგუფის ინტერესებს. ასე რომ დემოკრატებში სწორედ მოითხოვს, რომ მას ეს უფლება აეყაროს, ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესი. და ამიტომ იმათ ეს მსხვერპლი უნდა გაიღონ. ამისთვის ჩვენი ფრაქცია მოითხოვს, რომ ეს მუხლი დარჩეს ამ დებულებაში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? რადგანაც მსურველი არავინ არის, სიტყვას ვაძლევ მომხსენებელს.

ალექსანდრე ლიმოთათიძე (ს.-დ.) ბატონებო, მე უნდა გავიმეორო ის, რაც პირველ მოხსენებაში მოგახსენეთ. საქმე იმაშია, რომ ის მოსაზრება. რომელსაც კომისია იზიარებს და რომლის მიხედვით ეს მეხუთე ნაწილი შეიტანა მეხუთე მუხლში, უკვე მოხსენდა პარლამენტს, ასე რომ მე მგონია ზედმეტი იქნება ამ დებულების განმეორება. მე კომისიის სახელით ვიცავ ამ მეხუთე ნაწილს მეხუთე მუხლისს. კომისიის აზრით ეს ნაწილი მეხუთე მუხლისა უნდა დარჩეს.

თავმჯდომარე. მაშასადამე, ეხლა კენჭს უყრი მეხუთე ნაწილს მეხუთე მუხლისას. აქ შესწორება არის შემოტანილი პარლამენტის წევრის კედიანი, რომ პოლიციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მიეცეთ აქტიური საარჩევნო უფლება. მე არ ვიცი დავტოვოთ ეს თუ არა. ვინ არის მომხრე იმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს მეტუთე ნაწილი მუხლისა დარჩეს? გთოვთ ასწიოთ ხელი, (მიმართავს ქვესტორს) გთხოვთ დაითვალოთო. ვინარის მომხრე, რომ ეს ნაწილი მეტუთე მუხლისა აშოიშალოს? გთხოვთ ასწიოთ ხელი. გთხოვთ დაითვალოთ. ეს ნაწილი მეტუთე მუხლისა დარჩება. თანახმა იმისა, რომ ეს ნაწილი მეტუთე მუხლისა დარჩეს არის 41. წინააღმდეგი არის 21 (ხმა: იშლებაა?) დიახ იშლება. 41 იმ აზრისაა, რომ აშოიშალოს. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ლიმთათიძე. (კითხულობს) თვითეული საარჩევნო უბანში არჩევნების მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმათ აქვთ, ვინც ამ უბნის საარჩევნო სიაშია შეძენილი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? ვინ არის მომხრე ამ მუხლისა? მუხლი მიღებულია. ეს მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ლიმთათიძე. (კითხულობს მეშვიდე მუხლს). მე-7 **მუხლი.** არჩეულ რომ იქნას, ამის უფლება იმ პირსაც აქვს, რომელიც სრულებით არ არის შეტანილი საარჩევნო სიაში, მაგრამ საარჩევნო უფლების პირობას აკმაყოფილებს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს სპირიდონ კედიას.

სპირიდონ კედია. (ირ.-დგმ.) ბატონებო, ამ მეშვიდე მუხლში ჩვენ ვეხებით მოქალაქეთა პასსიურ საარჩევნო უფლებას.

წინა სხდომაზე ჩვენ ოკეი განვსაზღვრეთ მოქალაქეთა აქტიური საარჩევნო უფლება. განსხვავების გაკარგება ამ ორთა შორის აუცილებელია. თუ ხმის მიცემა და დეპუტატების არჩევა ყოველი სრულ წლოვან მოქალაქეს შეუძლიან საკმის დაფუძნებულად, დეპუტატათ ყოფნა და საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობის მიღება ყველას არ შეუძლიან, რადგანაც მუშაობა ბევრ დადებული თვისებებს მოითხოვს, რომელიც ეფრაკელესობის რასაკვირველია აკლია.

პასიური საარჩევნო უფლება, ჩვენ თვითონ გავარჩიეთ აქტური საარჩევნო უფლებისაგან. პირველ წლოვანობის მხრივ, თქვენ გეხსომებათ, რომ წარსულ კრებაზედ ჩვენ მიეიღეთ მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება თუ იმას შეესრულოს 20 წელიწადი.

ჩემის აზრით, რომ ადამიანი დეპუტატად იყოს პარლამენტში და მონაწილობას იღებდეს კანონმდებლობაში საჭიროა მეტი სიმწიფე, ასაკური. 20 წლის ყმაწვილს არ შეუძლიან ცხოვრების სინამდვილესთან ჰქონდეს ისეთი კონტაქტი, რომ პირადად დაკვირვება შეეძლოს, რომ შეეძლოს ანალიზი მოვლენებისა მოახდინოს და შეიგონოს ეს ზოგადი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს ირეპონო სინამდვილეს. ამ ორ მომენტის, პრინციპის და სინამდვილის დაახლოვებული ისეთნაირი კანონი შეჰქმნას და დასწეროს, რომელიც მართლაც ბეგრისთვის გამისაღები და შესაფერი იქნება ეს და ბევრი სხვა ამისთანა მოსაზრება ალბად იყო მიღებული მხედველობაში იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტი დიდი ხანი მუშაობს, ზოგან 100 წლოვანი. ამიტომაც იმ ქვეყნებში წლოვანობა იმ დეპუტატისა უფრო მაღალია ვიდრე ეს შეეხება აქტიურ საარჩევნო უფლებას. მაგალითებისთვის დავასახელებ რამდენიმე შემთხვევებს, მაგალითად, არგენტინის რესპუბლიკაში მიღებულია 25 წელიწადი. რომ მოქალაქე გახდეს დეპუტატათ მას უნდა ჰქონდეს შესრულებული 25 წელიწადი; ასევეა შექსიკაში, ასევე გახლავთ შეერთებულ შტატებში, ასევე გახლავთ საფრანგეთში. ეს, რაც შეეხება რესპუბლიკანურ ქვეყნებს, ასევეა კონსტიტუციურ, მონარქიულ ქვეყნებში, იქაც რომ მქალაქე გახდეს დეპუტატად შესრულებული უნდა ჰქონდეს 26 წელი; ზოგან კიდევ 30 წ.

თუ ჩვენ სინამდვილეს დაუბრუნდებით, უნდა ვსთქვათ ამ შემოხვეულში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩვენ, როგორც ნაკლებად მომზადებულნი და განვითარებული პოლიტიკურად, რადგანაც ჩვენში უცნობი არის ის კანონმდებლობითი ორგანიზული მუშაობა, სახელმწიფოებრივ მუშაობაზე აგებული,—ამ მხრივ წლოვანობით შერჩევა აუცილებელია, და ამ მოსაზრებით ჩვენ მიკვანია აუცილებლად, რომ საქართველოში დეპუტატის სრული უფლება უნდა ჰქონდეს იმისა, ვისაც შეუსრულდება 25 წელიწადი არჩევნების დაწყების დროს.

ეს, რაც შეეხება წლოვანობას.

მაგრამ არის სხვა მოსაზრება მისაღები მხედველობაში. აუცილებელი პირობაა, რომ დეპუტატმა იცოდეს სახელმწიფოებრივი ენა, ეს საჭიროა, რომ პარლამენტის მუშაობა და საქმის წარმოებაც ამავე დროს მიმდინარეობდეს ნორმალურად. ამიტომ ისინი, ვინც არ იქნებიან ამ სახელმწიფოს ენის მცოდნენი შეუძლებელია ისინი იქმნენ დეპუტატად არჩეულნი.

საჭიროა აგრეთვე, რომ დეპუტატმა იცოდეს წერა-კითხვა. შეუძლებელია, რომ დეპუტატი მოდიოდეს პარლამენტში და, როდესაც უნდა მოაწეროს ხელი პარლამენტში დასასწრებ ქაღალდზე, იქ ჯვარი დაუსვას, და თავის სახელის და გვარის მოწერა არ შეეძლოს.

ამნაირად ჩვენ მიგვაჩნია აუცილებლად, რომ მოქალაქეს აკმაყოფილებდეს საარჩევნო პასიურ უფლებას, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესრულებული 25-ოი წელიწადი, იგი მცოდნე იყოს სახელმწიფოებრივი ენისა და ქართული წერა-კითხვისა.

თავმჯდომარე. ვის ნებავს კიდეც სიტყვა მეშვიდე შეხლის შესახებ? არავის. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ლიმონათიძე. ორი მოსაზრებით არის წინააღმდეგი პარლამენტის წევრი კედია ამ მეშვიდე მუხლისა. ერთი შეეხება წლოვანობას, 20 წელიწადი ორატორს ძალიან მცირე ხანად მიაჩნია, იმისთვის, რომ კაცი გონებრივად და სულიერად და ინტელექტუალურად მომზადებული იყოს, იმისთვის, რომ მრავალ მხრივ და პასუხის საგები როლი დეპუტატისა ითამაშოს. მაგრამ ეს მოსაზრება არ არის დასაბუთებული, და აი რატომ.

საქმე იმაშია, რომ არც ერთი პატარა პარტია ისეთ კაცს არ დაასახელებს დეპუტატად, ვისაც არ ექნება სათანადო თვისებები.

ეს თავის თავად ცხადია.

მაგრამ, ზოგან შესაძლოა საერთო მოვლენა ასეთი იყოს, რომ 20 წლის ყმაწვილი არ იყოს სათანადო დონეზე, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ გამონაკლისი იყოს. და თუ ასეთი გამონაკლისი შესაძლებელია იყოს, რატომ უნდა წავართოთ მას საშუალება, როგორ არ უნდა აღვნიშნოთ სათანადო კანონიერის გზით, რომ ასეთ პირს, უფლება მიეცეს იკისროს, მართლაც მძიმე და პასუხსაგები საქმე და როლი დეპუტატისა, ჩვენ გვეგონა, რაკი ასახელებენ კანდიდატს, წამომყენებენი ფიქრობენ, რომ მას შეუძლიან ასეთი მძიმე და ძნელი ტვირთი იკისროს. (კედია: გარანტიად უნდა იყოს კანონი და არა დებულება) დიახ კანონი, მე მგონი კანონი უნდა ამოსწურავდეს ყველა მოვლენას ცხოვრებისას. კაი კანონი ის არის, ჩემის აზრით, რომელიც ყველა მოვლენას ცხოვრებისას ამოსწურავს. (ტაში).

ამ ნიადაგზე რომ გადაგეტანათ თქვენი კამათი და გეთქვათ, რომ შეუძლებელია, რომ 20 წლის ახალგაზრდა ასეთი ნიჭის და გონების პატრონი გამოდგეს, რომ ეს დაგემტკიცებინათ, მაშინ დაგეთანხმებოდით, მაგრამ ეს თქვენ ვერ დამამტკიცეთ, თქვენ ზოგადათ აყენებთ, ამბობთ 20 წლის ახალგაზრდა არ შეიძლება მომზადებული იყოს, მაგრამ ამაში მე თქვენ ვერ დაგეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მოსაზრება ვერ გავიგე სრულიად,—სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა, დიახ ჩვენც ასე ვფიქრობთ, რომ დეპუტატი ქართული ენის მცოდნე უნდა იყოს და მით უფრო წერა-კითხვისა. თუ პასიურ უფლებას ვაძლევთ ასეთ პირთ, რომელიც მაგალითად არ არიან შეტანილი სიაში, ავიღოთ საზღვარ ვარეთ ყოფილი პირები ქართველები, მიხაკო წერეთელი, ჩხენკელი, თუ კი სიების შედგენის დროს ისინი აქ არ არიან, თქვენ რა საბუთი, რა უფლება გაქვთ, რომ კანონი იმნაირათ შეიმუშავოთ, რომ წამოყენების უფლება წაართვათ ამა თუ იმ პარტიას. მათ დეპუტატათ გაყვანა წაართვათ მათ: (კენდია: (ეგ არ გვიფიქვამს).

თქვენ სახელმწიფო ენის შესახებ, არ ვიცი იქნება ვერ გავიგე. სახელმწიფო ენის შესახებ მე მოგახსენებთ, რომ კომისიის აზრი ასეთი არის და მე მგონი პარლამენტში არ იქნება ისეთი წევრი, რომელიც საწინააღმდეგოთ სქვას, რომ საქართველოს პარლამენტში ქართული ენის ცოდნა აუცილებელი არის და ეს ვსაც უნდა იყოს, რაც შეეხება იმას, რომ პასიური საარჩევნო უფლება ასეთებს უნდა წაართვათ, (კენდია: ვის ბატონო, ვის?

თავმჯდომარე. გთხოვთ მუსაიფს თავი დაანებოთ.

ალ. ლიმთათიძე. ბატონებო, მე მოგახსენეთ, რომ საქართველოს პარლამენტში არჩეული შეიძლება იქნეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, ეს ერთი დებულება. მეორე გახლავთ ის, რომ საქართველოს პარლამენტში არჩეულმა დეპუტატმა უნდა იცოდეს ქართული ენა. მაშასადამე, როცა ჩვენ საარჩევნო უფლებას ვანიჭებთ იმ პირთ, რომელნიც საქართველოს საზღვრებში არ იმყოფებიან არჩევნების დროს, კანდიდატების დასახელების დროს,—ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ის საქართველოს მოქალაქეა და მან იცის ქართული ენა. (ტაში, ხმაურობა)

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ წესიერებას ნუ არღვევთ.

ალ. ლიმთათიძე. ასე რომ, მე ვიცავ მეშვიდე მუხლს, ვინაიდან ეს ორი მოსაზრება, რომელიც ორატორმა წამოაყენა სრულიად არ არის დამარწმუნებელი.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? არავის. მაშასადამე კენჭს უყრი შესწორებებს. აქ არის შემოტანილი შესწორებები. ერთი ის, რომ პასიური საარჩევნო უფლება ჰქონდეს იმას, ვინც იცის სახელმწიფოებრივი ენა და ქართული წერა-კითხვა, ეს ერთი. და მეორე,—ყისაც არჩევნების დროისთვის უკვე 25 წელიწადი შესრულებული აქვს. ეს არის ორი ახალი წინადადება. მე ჯერ ერთს უყრი კენჭს, მერე მეორეს. (ხმა: „ცალ-ცალკე“.) დიახ, ცალ-ცალკე. პირველი შესწორება: დაემატოს—„ვინც იცის სახელმწიფოებრივი ენა და ქართული წერა-კითხვა“. ვინ არის მომხრე ასეთ წინადადებისა? (ხმა: „რომლისა?“) აი, ამისა,—“ვინც იცის სახელმწიფოებრივი ენა და ქართული წერა-კითხვა“. ვინ არის წინააღმდეგი? (ქვესტორს) გთხოვთ დაითვალოთ. ამ რიგად ეს დამატება უარყოფილი გახლავთ, რადგანაც ამ დებულებას არ ეთანხმება 39 წევრი პარლამენტისა, მომხრე არის 25.

მეორე შესწორება შეეხება წლოვანობას. ვინ არის მომხრე, რომ არჩევნების დროსთვის დეპუტატს უკვე ჰქონდეს 25 წელიწადი შესრულებული? უარყოფილი გახლავთ.

ამნაირად ასაკი რჩება ოცი წელი.

ახლა მე კენჭს უყრი მეორე მუხლს. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული გახლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) მუხლი 8. არჩევნებში მონაწილეობის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღებად არ დაიშვება საარჩევნო სიაში შეტანილი ის პირობები, რომელნიც არჩევნების დაწყების წინ დაჰკარგავენ საარჩევნო უფლებას (მუხლი 4—5) და აგრეთვე ისინი, ვინც აღნიშნული დროისთვის იმყოფებიან თავისუფლებას მოკლებული ან სასამართლოს უკვე ძალაში შესულის განაჩენით ან და იმის გამო, რომ სასამართლოსაგან პასუხისგებაში არიან მიცემულნი, როგორც ბრალდებულნი რაიმე დანაშაულობითი მოქმედებაში და მათ წინააღმდეგ ს�-ოხილის ზომად (мѣры пресеченія) დატუსაღება უსმარიათ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) თავი III. დამფუძნებელი კრების არჩევნების წარმოების გამძღოლი დაწესებულებანი. 9. არჩევნების წარმოების გამგებლობა დაევალება: რესპუბლიკის ცენტრალურსა, სალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ მიღებულია.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) **შენიშვნა:** სოხუმის და ზაქათალის ოლქებში არჩევნების წარმოებას ხელმძღვანელობს სოხუმის და ზაქათალის ოლქების საარჩევნო კომისიები.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ამ შენიშვნის შესახებ? არავის. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ეს შენიშვნაც მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეათე მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 10. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ირჩევს საქართველოს ეროვნული საბჭო 15 კაცისაგან. კომისია ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

ცენტრალურ კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედეგს თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკურ პარტიის ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდიდატო სია წარმოუდგენია.

თავმჯდომარე. მეათე მუხლის შესახებ სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ლეო ნათაძეს.

ლეო ნათაძე. ბატონებო, ამ ცენტრალური კომისიამ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ კომისიამ უნდა გადასწყვიტოს თითქმის წინასწარი ბედი მთელი საარჩევნო კამპანიისა. ამიტომ ყოველი პარტია დაინტერესებული არის, რომ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელები. ჩემის აზრით, არ უნდა იყოს არც ერთი, თუნდაც პატარა პარტია ჩვენ პარლამენტში, რომელსაც ამ კომისიაში არ ყოლოს წარმომადგენელები. იმავე დროს, როდესაც შუშავდებოდა ეს დებულება, იმ დროს ჩვენ პარლამენტში არ იყო ბევრი ის ფრაქცია, ბევრი ისეთი ფრაქცია, რომელიც არის ახლა პარლამენტში. და ამისთვის ეს რიცხვი, რომელიც არ არის აღნიშნული 13 (ლომთათიძე: 15 კაცია) ცოტათ უნდა შეიცვალოს. უნდა შეიცვალოს იმნაირად, რომ ყოველ პატარა ფრაქციას უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელები. ხელმძღვანელ ფრაქციას და იმ ფრაქციას, რომელსაც ბევრი რიცხვი ჰყავს წარმომადგენლობისა რასაკვირველია, პროპორციონალურად მეტი წარმომადგენლები უნდა მიეცეს. ეს რიცხვი, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს აღნიშნა უნდა იყოს, რადგანაც სოციალ-დემოკრატები არიან 68, და ამის გარდა კიდევ შედეგს ჩვენი ფრაქციის რიცხვში სამი სომეხი, ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სოციალ-დემოკრატებმა მიიღონ სათანადო რიცხვი წარმომადგენლობისა, და კიდევ ერთი ადგილი მა-

ინც იყოს დარჩენილი სომხებისთვის. ჩვენ შემოგვაქვს წინადადება სოციალ-დემოკრატებს ჰყავდეს 7 წარმომადგენელი. (ხმა: ეს შინაური საქმეა) შინაური იყოს. ეს შინაური საქმე არის თუ არა, მაინც უნდა იყოს 7 წარმომადგენელი.

სოციალ-ფედერალისტების ფრაქციას ჰყავდეს ორი. დანარჩენებს თითოთითო.

სულ რომ შეგაერთოთ ეს რიცხვი გამოდის, რომ ფრაქციებს უნდა ჰყავდეს ამ კომისიაში 21 წარმომადგენელი.

თავმჯდომარე ვის ნებავს სიტყვა? არავის. კამათი შეწყვეტილია. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ალ. ლიმბოთოძე მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, სავსებით ვეთანხმები ამ წინადადებას იმ მოსაზრებით, რომელიც აქ პარლამენტის წევრმა ნათაძემ გაუზიარა პარლამენტს,

თავმჯდომარე. ამ რიგად წინადადება არის ასეთი: ცვლილება შევიტანოთ მეოთე მუხლში რიცხვი 15 უნდა შეიცვალოს და იმის მაგივრად, წინადადება არის შემოტანილი, იყოს 21.

მე ამ წინადადებას უყრი კენჭს. ვინ არის თანახმა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მიღებული არის ეს შესწორება. ეხლა კენჭს ვიყრი მუხლს. ვინ არის მოქმრე, რომ ამ შესწორებით მივიღო მეოთე მუხლი მიღებულია ამ შესწორებით, ამ ცვლილებით. ეხლა გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმბოთოძე. (კითხულობს) მუხლი 11. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ევალება: 1) საერთო თვალყურის დგება დამფუძნებელ კრების არჩევნების მსვლელობაში, და შემოუშვება არჩევნების დასაჩქარებელი ზომებისა; 2) ზომების მიღება დამფუძნებელ კრების არჩევნების სტატისტიკური და სხვა ცნობების დასაგროვებლად და შესამუშავებლად; 3) თვალყურის დევნება, რომ თავის დროზე მოიწყოს და მოქმედება დაიწყოს საარჩევნო, საქალაქო და საოლქო კომისიებმა; 3) დამტკიცება საარჩევნო უბნებად განაწილების თანახმად სამაზრო, საქალაქო და საოლქო კომისიებს წარდგენისა და განხილვა ყველა იმ განცხადებებისა, რომელნიც საარჩევნო უბნებად დაყოფის უწესრიგობას შეეხებიან; 5) განსაზღვრა და გამოქვეყნება დღისა, როცა ქალაქების მთავარი და წვრილი სასოფლო კომისიები საარჩევნო სიების შედგენას უნდა შეუდგნენ, თვალყურის დევნება სიების დროზე შედგენისა და მათის საყოველთაო განხილვად გამოფენისა; 6) მიღება და განხილვა საკანდიდატო სიებისა, მათი საჯაროდ გამოფენა და შეტყობინება საქალაქო, საოლქო, სამაზრო. სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებისთვის და აგრეთვე საყოველთაოდ გამოქვეყნება, საკანდიდატო სიების შეერთება თუ მოხდა; 7) განკარგულება საარჩევნო კონვერტების, საარჩევნო ბარათების ყუთების და საპრარადო ბარათების დამზადების შესახებ; 8) ხმების დათვლის წარმოება მთელს რესპუბლიკაში, არჩევნების შედეგის გამორკვევა და ამ შედეგის საქვეყნოდ გამოცხადება; 9) შედეგნა დამფუძნებელ კრებაში არჩეულ წევრთა სიისა და მათთვის სათანადო მოწმობის მიცემა; 10) მთელი საარჩევნო წარმოების საქმეების გადაცემა დამფუძნებელ კრებისთვის და 11) განკარგულება იმ კრედიტებისა, რომელნიც არჩევნების საწარმოებლად გადადება ხანინიდან.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? არავის. ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მოღებული გახლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმბოთოძე. (კითხულობს მეთორმეტე მუხლს) სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს, ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

სამაზრო კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარსა და მდივანს.

სამაზრო კომისიაში წევრის (რული უფლებით შედის თითო წარმომადგენელი თვითეული იმ პოლიტიკური პარტიისა ან ჯგუფისა, რომელთაც საკანდიდატო სია წარუდგენიათ, მხოლოდ დღიდან საკანდიდატო სიის ცენტრალურ კომისიის მიერ მიღებისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა, სიტყვა მკუთვნის პარლამენტის წევრს ბ. შიქელაძეს.

შალვა მიქელაძე (ს.-ფ.) ბატონებო, ჩვენ გვინდა კოტაოდენი შესწორება შეეტანოთ ამ მუხლში. შესწორება შეეხება შემდეგს. ამ მუხლში სწერია: სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს; ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით. სამაზრო კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარსა და მდივანს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სწორე არ არის. სჯობია, რომ მთელ კომისიას ირჩევდეს არა თავმჯდომარე, არამედ თვით სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა. მით უფრო, თუ გადავთვალიერებთ მთელ დებულებას, დავინახავთ, რომ ზოგან არის გატარებული ის აზრი, რომ კომისიას ირჩევს მთელი შემდგენლობა გამგეობისა. მაგალითად მეთოთხმეტე მუხლში ნათქვამია: კომისიას ირჩევს იმ ქალაქებში, რომელთა მცხოვრებლების რაოდენობა ორი ათასს ღემატება, არსდება ცალკე მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია. ხსენებულ კომისიას ირჩევს ქალაქის საბჭო თავის წრიდან მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით.

შემდეგ ქე-18-ე მუხლში აგრეთვე არის ნათქვამი: (კითხულობს) სოფლის საზოგადოების კომისიას ადგენს სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია საზოგადოებაში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. ესე იგი, ორ მუხლში არის მიღებული ის აზრი, რომ მთელ კომისიას ადგენს ესა თუ ის დაწესებულება. და ორ სხვაში არის გატარებული ის აზრი, რომ მხოლოდ თავმჯდომარეს ირჩევს ეს დაწესებულება. და შემდეგ იგი ადგენს კომისიას. მაგალითად მეთორმეტე მუხლში ნათქვამია, რომ ირჩევენ ერთ წევრს, და ის ადგენს კომისას—მაზრაზი ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომ-დგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით. სულ სხვაა მე-18-ე მუხლში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მუხლები ერთმანეთში შეთანხმებული უნდა იყოს მიღებული ერთი რედაქციაა. სახელდობრ, რომ (კითხულობს) სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა მაზრაში მომქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ქალთა განწყობილების მიხედვით.

კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს. ეს უფრო სწორე ნქნება, ვინაიდან, როდესაც რაიმე კოლეგია ირჩევს რაიმე კომისიას, უფრო ნათლად იქნება წარმოდგენილი საერთოდ აზრი, ვიდრე მაშინ, როდესაც კომისიას ირჩევს ერთი პირი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს კედიას.

სპირიდონ კედია. (ერ. დემ.) ჩვენ გვგონია, რომ ამ მუხლის დატოვება იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით, როგორც დებულებაშია, თუ იმ სახით, როგორც ეს ბ. მიქელაძეს სთქვა,—ეს ყოველად შეუწყნარებელი არის. და ეს იქნება თავიდანვე საარჩევნო კომპანიის შეყალება. ეს სამაზრო საარჩევნო კომისია, ყველაზე უფრო ახლო უდგას თვით არჩევნებს. იქ აწყობენ, თანასმად ამ დებულებისა, სოფლის საარჩევნო კომისიას, და იმავე დროს იქ აწყობენ წვრილ სიფლის საარჩევნო კომისიებს, და ამნაირად მთელი საარჩევნო, საქმიანობის წაყვანა, საარჩევნო კომპანია ხდება ამ სამაზრო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობით. და აუცილებელი იყო, ასეთ შემთხვევაში, სამაზრო საარჩევნო კომისია ყოფილიყო შედგენილი ისეთ ნაირად, რომ არც ერთ მოქალაქეს არავითარი ექვის აღძვრა და შეეტანა არ შესძლებოდა. აქ მიღებული რედაქცია კი ამის წინააღმდეგს გვეუბნება. ამნაირად მოქალაქეს არა აქვს არავითარი გარანტია იმისა, რომ თავიდანვე არ იქნება მიღებული წესება, რომლებიც არჩევნების კომპანიის ნორმალურ მიმდინარეობას ხელს არ შეუშლიან. საეჭვო არის, რომ სამაზრო საარჩევნო კომისია შეადგინოს ისეთნაირ დაწესებულებამ, საიდანაც განდევნილი არის ყოველგვარი პარტიული შეხლა-შემოხლა, სადაც არის ერთნაირი სამართლის ძიება. ასეთნაირი დაწესებულება გახლავთ სასამართლო.

ჩვენის აზრით, კომისიის არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა იმგვარ დაწესებულებამ, როგორც არის სასამართლო, რომლის პრაქტიკა და დანიშნულება არის ემსახუროს ამ სამართლის ძიებას და კანონიერების დაცვას. ყოველი მოქალაქის წარმოდგენაში ეს მსაჯული და მოსამართლე არის უმაღლესი მიუდგომელი ინსტანცია. რადგანაც ჩვენ წარნაზე არის საკითხი დღეს, როგორ უნდა მოვახდინოთ ნორმალური არჩევნები ჩვენ ქვეყანაში, სწორედ ამ საარჩევნო კომპანიის მოწყობა უნდა მიგვეცემა ამ დაწესებულებისათვის. ჩვენის ფიქრით ის, როგორც ეთქვეთ, სდგას ამგვარ შეხლა შემოხლას გარეშე და სამართლის ძიებაში არის. აქგვარად, ამ პრინციპის მიხედვით იქნება ერთგვარი გარანტია ყოველ მოქალაქისათვის, რომ არჩევნები ნორმალურად იქნება ჩატარებული და არავითარი ძალდატანებას არ გვნება ალაგი.

შემდეგ, მეორე ნახევარი ამ მეთორმეტე მუხლისა მეორე აბზაცი ამბობს, რომ (კითხულობს) ეს უკანასკნელი ფეულისმბრძა თავმეჯდომარე ადგენს კომისიას მაზრაში ყველა მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

ძალთა განწყობილების მიხედვითაო. ბატონებო თუ ეს თავიდანვე მივიღეთ, თუ უკვე შეაქმენით ეს ხელმძღვანელი საარჩევნო კომისია, სადაც სხვა და სხვა პარტიის ფეოლება წარმომადგენელი არა თანასწორად არამედ უთანასწორად, თუ ერთ ნაწილის ამ კომისიის ექნება გარდამწყვეტი მნიშვნელობა იმ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც უნდა მოაწყოს კომპანიის მოხდენა,—ჩვენის აზრით, ეს სამაზრო საარჩევნო კომისია არ არის სრულიად ის კომისია, სადაც უნდა ხდებოდეს პარტიული ბრძოლა, არამედ ისეთი კომისია, სადაც უნდა გამეფებული იყოს უაღრესი მიუდგომლობა და თანასწორობა. აი ამის მიხედვით ჩვენ მოგვაჩნია პირდაპირ შეუძლებლად, თუ არ გვინდა თავიდანვე დავაკანონოთ ეს უთანასწორობა და ძალის პრინციპი შევიტანოთ ამ საარჩევნო კომისიაში. ჩვენ შეუძლებლად მოგვაჩნია, რომ იყოს მიღებული ისეთი. პრინციპი, და ძალთა განწყობილების მიხედვით იყოს შევესებული ეს კომისია პირიქით საჭირო არის თვითეულ პარტიას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. უნდა ჰყავდეს წარმომადგენლები თანაბრივად, და თუ ეს პრინციპი ჩვენ იმაში შევიტანეთ, მაშინ ეს სამთარო საარჩევნო კომისია იქნება ეჭვ მიუტანელი ყოველ მოქალაქეს მხრივ და იქნება მოსილი ნდობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოსაზრების მიხედვით ჩვენ ვცვლით ამ რედაქციას, **რომელიც** ჯერ არის წარმომადგენელი და ასეთნაირ რედაქციას წამოვაყენებთ: (**კითხულობს**) სამაზრო საარჩევნო კომისია სდგება ამნაირად: საოლქო სასამართლო ნიშნავს სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ან თავის წევრს, ან მომრიგებელ მოსამართლეს. თავმჯდომარე ირჩევს კომისიის ორ წევრს ადგილობრივ მცხოვრებიდან. მაზრაში მომქმედი პოლიტიკური პარტიები კომისიაში თითო წარმომადგენელს გზავნიან, რომელნიც სარგებლობენ კომისიის წევრის სრულ უფლებით. ასე შემდგარი კომისია ირჩევს თავმჯდომარის ამხანაგს, მდივანს და ხაზინდარს.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის ბატონ გობეჩიას.

ივანე გობეჩია. (ს. რ.) ბატონებო, ბოლოს და ბოლოს არჩევნების შედეგი ის იქნება, რომ ერთი რომელიმე ჯგუფი მეტს წარმომადგენლებს გამოგზავნის პარლამენტში. სამართალი მოითხოვს, მოითხოვს აგრეთვე სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომ სწორედ ის უმრავლესობა, რომელიც იქნება პარლამენტში, თუკი იქნება ასეთი, მეტი ავტორიტეტით იყოს აღჭურვილი. აი დღეს ჩვენ იდმინისტრაციას, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს წესირების დამყარების დროს, მივეცით არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ეს დიდი შეცდომა არის და ეს მიუღებელია. რადგან მოწინააღმდეგეთ შეუძლიანთ სთქვან რომ უმრავლესობის პარტიამ არჩევნების დროს ადმინისტრაცია მოიმხრო. აი, სწორეთ ამ ჩვენ პარლამენტის უმრავლასობის ფრაქციის ინტერესი მოითხოვს იმას, რომ ეს მუხლი დატოვებული იყოს.

ეხლა მეორე არა სწორი ნაბიჯი გადადგმული იქნება სახელდობრ ის, რომ ძალთა განწყობილებით რომ გაგზომოთ, მაგალითად, კომისიის რაოდენობა. რატომ არის ეს საჭირო. კომისიაში თუ შევიდა, მაგალითად, შვიდი-რვა კაცი შესაძლებელია, რომ თვითეულ პოლიტიკურ პარტიას, თვითეულ პოლიტიკურ ჯგუფს თითო წარმომადგენელი ჰყავდეს. მე მგონია, რომ იმათ უნდა შესძლონ იმ მოვალეობის ასრულება, რომელიც ნაგულისხმევია ამ მუხლში. და აგრეთვე შეასრულონ ის მოვალეობა, რასაც უკარნახებს ნაკაზში ცენტრალური კომისია. მე მგონია, თუ ჩვენ ასეთ კომისიას ამ გვარად მოვაწყობთ, თუ ასეთი შემადგენლობა იქნება ამ კომისიაში,—არჩევნების დამთავრების შემდეგ მითქმა-მოთქმას და კინკლაობას ადგილი არ ექნება. და ყველა დარწმ **უნ**ებული იქნება რომ წესიერად დამთავრდება ეს საარჩევნო კომპანია.

ამიტომ ჩვენ ფრაქციას შემდეგი წინადადება შემოაქვს:

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ბ. არსენიძეს.

რაფაელ არსენიძე (ს.-დ.) პირველი შესწორება, რომელიც იყო წაწყენებული პარლამენტის წევრის შალვა მიქელაძის მიერ, მე მგონია, მისაღები არის, იმიტომ რომ ხამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობას თამამად შეუძლიან ერთი კაცის საშუალებით შეადგინოს კომისია, ან და თავის სხდომაზე აირჩიოს იგი. ეს სულ ერთია. ჩვენ გამგეობას, საზოგადოდ, ისეთივე ხალისით, მე მგონია და რიგიანობით შეუძლიან შეასრულოს ეს საქმე, როგორც მის წრიდან არჩეულ თავმჯდომარეს. და მე მგონია, ამ მხრივ შეიძლება ეს რედაქცია შეიცვალოს და დეიწეროს ისე, როგორც შალვა მიქელაძემ წამოაყენა. ეს არაფერს არ დააშავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ამ ძირითადი პრინციპის შეცვლას, მე მგონია ეს შეუძლებელია ჩვენ თუ პარტიული პრინციპი მივიღეთ, მაშინ იმდენი პარტია და ჯგუფი. აღმოჩნდება მომავალში, რომ მათი დათვლაც გაგვიჭირდება. ჯერ ამ პარლამენტში რამდენი ფრაცია არის და კიდევ ოცი პარტია აღმოჩნდება, ბოგიერთი ძალიან მცირე, მაგრამ ეს ისეთი თვისებაა, რომლის გამოთ აუარებელ პარტიის წარმომადგენლები შეგვლენ ამ კომისიაში. ყველას რომ პარტიული უფლება მისცეს, და ისე შეადგენონ კომისია, ის დარჩებათ ხელში ისეთ უმნიშვნელო მცირე ელემენტებს, რომელნიც ვერ შესძლებენ წესიერად მოიწყონ საქმე. დაბოლოს ისეთ წვრილმან ჯგუფებს, ისეთ წვრილილ მიმდინარეობებს, რომელნიც სახელმწიფოს ცხოვრებაში, სახელმწიფოს შენებაში უმნიშვნელონი არიან, ამ კომისიაში ბატონობა და ხელმძღვანელობა ექნება მინიმუმი. ამჯერათ ეს პრინციპი მასალები არ არის, და უნდა დარჩეს პრინციპი ძალთა განწყობილებისა.

ეს უნდა იყოს საერთო სახელმძღვანელოთ განსაკუთრებით პარტიების შეთანხმების დროს.

მე მგონია, რომ უმრავლესობის პარტიას ვერავინ ვერ უსაყვედურებს, რომ მან თავისი ხმების საშუალებით გააქარწყლა სხვისი. პირიქით. მას ყოველთვის დაუფიქრია და მიუღია ხშირად ძალთა განწყობილების მიხედვით, მეტი ხმა და საშუალება, ვინმემ ეს შეიძლებოდა ნამდვილ პროპორციით მიგვეცა, ამა თუ იმ პარტიისა თუ ჯგუფისთვის. ასე, რომ ეს როგორც პრინციპი, სახელმძღვანელო პრინციპი, უნდა დარჩეს და ამით უნდა იხელმძღვანელოს იმ კომისიამ, თუ გაგვეთქვა, რომელიც შეადგენს სამაზრო საარჩევნო კომისიას.

აქ კიდევ ერთი დებულება წამოაყენეს. ეს გახლავთ: მოსამართლეთა მოწაწილეობა კომისიაში. ჩვენში, რომ ისეთი მდგომარეობა იყოს, ჩვენ რომ ისეთი მომზადებული მოსამართლეები გვყვანდეს,—მაშინ ასეთი ნეიტრალური ძალის შეყვანა კომისიაში სავსებით მისადგი იქნებოდა, და მე ამის წინააღმდეგი, რასაკვირველია, არ ვიქნებოდი, მაგრამ ამ ჟამად, ეს ესე არ არის. ჩვენ ჯერ არ გვყავს ისეთი მოსამართლეები, რომ შეგვეძლოს მათთვის ასეთი დიდი ფუნქციების მინიჭება მოსამართლეებს. ჩვეულებრივ ბოროტ-მოქმედების საქმეებს მოგვარება, რაც მათი პირდაპირი მოვალეობა არის, ისიც კი ვერ შეუსრულებია და თუ ამისთანა ვეებერთელა საქმე, როგორც არის დამფუძნებელი კრების საარჩევნო საქმის მოწყობა, დავაკისრეთ მათ,—ამას ხომ ცხადია უფრო ვერ შესძლებენ. ეს ამ ჟამად შეუძლებელია! ასე რომ, მე პრინციპიალურად არ ვარ წინააღმდეგი იმისა, რაც წამოაყენა ბ. კედია. მაგრამ დღეს-დღეობით ეს აპარატი გამაგრებული და გაღონიერებული არ არის ხალხში და ამიტომ ასეთი დიდი საქმის ჩაბარება მათთვის ყოველად შეუძლებელია. ყველა ამის გამო, ამ ჟამად ჩვენ ამ დებულებაზე, ამ პრინციპზე ხელი უნდა ავიღოთ და, მაშასადამე, დარჩება ისევ ის პრინციპი, რომელიც შეიმუშავა კომისიამ.

თვითმართველობა და ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ემყარება ხალხის ნდობას შესდგება, დაახლოვებით, ამ პრინციპის მიხედვით, ძალთა განწყობილების პრინციპის მიხედვით პარტიათა მორის.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს სპირიდონ კედიას.

სპირიდონ კედია. (ერ.-დემ.) მე ისე მგონია, რომ წინ ნათქვამი კაცს ავალებს, მაშინ, როდესაც გამოდის და შემდეგ დაიწყებს თავის აზრის განვითარებას სხვა საკითხის გამო. წინა სხდომაზე ჩვენ მოვისმინეთ ის მოსაზრებანი ფასაკავად ამ საარჩევნო პრინციპისა, რომელიც უკვე მივიღეთ. ეს მოსაზრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახლავთ შემდეგი: ჩვენ გვინდა, ჩვენი სურვილი არის, ჩვენი უაღრესი სურვილი ეს არის, რომ ყოველ პარტიას და ჯგუფს, რაც გინდა უმნიშვნელო იყოს ისა, თავის წარმომადგენლობის უფლება მიეცესო. თუ არა ვსცდები ეს მოსაზრება მოიყვანა ამბანაგ არსენიძემ. ეხლა, როდესაც საკითხი შეეხება სამაზრო საარჩევნო კომისიის შედგენას, იმ რედაქციას, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ, ბ. არსენიძე კრიტიკას უკეთებს სწორეთ იმ თვალსაზრისით კი არა, რომლითაც ის იცავდა არჩევნების პრინციპს, არსმედ მოპირდაპირის თვალსაზრისით. ის ამბობს: ჩვენ რომ სამაზრო საარჩევნო კომისიაში ის პრინციპი შემოვიღოთ, რომ ყველა პარტიას ჰყავდეს წარმომადგენელი, მაშინ ძალიან ბევრი პარტიები იქნება, და მეშაობა შეუძლებელი იქნებაო.

ჩვენის აზრით ეს შენიშვნა ბ. არსენიძესი საბუთიანი არ არის.

ჯერ ერთი არც ისე ბევრი არის რიცხვი პარტიებისა, და ჩვენ ტექსტის რედაქციაში აღნიშნულია, რომ მაზრაში მომქმედ პარტიების წარმომადგენლები იყვნენ გამოგზავნილნი, და მაზრაში სულ ორი თუ სამი პარტიაა, ოთხი თუ გინდათ, რომელიც გამოდის სამოქმედოთ, მეტი არაა. მაშასადამე, არც ისეთი დიდრიცხოვანი იქნება პარტიული წარმომადგენლობა, თუ ჩვენ მივიღეთ პრინციპი, რომ ყველა პარტია, რომელიც არჩევნებში იღებს მონაწილეობას თავის წარმომადგენელს გამოუგზავნის სამაზრო საარჩევნო კომისიაში.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმის, რომ ამ საქმის მოგვარებას ისე შეუდგნენ, რომ ეს იწვევდეს ექვს. ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რომ ეს საქმე მიენდოს ისეგე პარტიებს. ჩვენ ბომბრენი ვართ იყოს განსაზღვრული კანონი, რომ პარტიების სუბიექტიურ სურვილებს ნაკლები გასავალი ჰქონდეს, საერთოთ სჩვევიათ, რომ ასეთი საკითხები ყოველთვის პარტიებს მიანდონ.

როდესაც ჩვენ წამოვაყენეთ პრინციპი, რომ საქართველო დაეყოთ მრავალ საარჩევნო ოლქად, რომ თვითეულ ოლქს ჰყავდეს თავის, მცხოვრებლებთა შორის არჩეული წარმომადგენლებიო, ჩვენ გვიპასუხეს, ეს უნდა პარტიებს მიენდოსო, ჩვენ გვითხრეს ამის პასუხად, რომ ეს უნდა პარტიებს მიენდოს, თვითეულ პარტიამ უნდა მოაწყოს, რომ თვილეულ ოლქს ჰყავდეს თავის წარმომადგენელი, რომ საქართველო იყვეს ნაილად და მკაფიოდ წარმოდგენილი.

ბატონებო, კანონის დანშნულება ეს გახლავთ, რომ რაც აუცილებელი და საჭიროა, ეს კანონის ძალით იყოს შემოღებული და დაცული, და არა ისე, რომ მიენდოს ამა თუ იმ პარტიას, რომელსაც შეუძლიან განახორციელოს ეს და შეუძლიან სხვანაირადაც მოიქცეს. ამ შემთხვევაში მიუღებელია ის, რომ პარტიას მიენდოს სამაზრო საარჩევნო კომისია ისე შეადგინოს, რომ არ დაირღვეს ძალთა განწყობილების პროპორცია.

ჩვენ ვამბობთ: წარსული პრაქტიკა საქართველოში არა გვქონია დასამტკიცებელ საბუთებათ იმისა, რომ უსაფუოდ ასე მოექცევიან, მომავალში კი— ჩვენ გვინდა იყოს გარანტია კანონის სახით და არა ამა თუ იმ პარტიის სახით. ამიტომ, ჩვენი ეს მოთხოვნილება შეუძლებელია გაბათილებულ იყოს ამ შემთხვევაში, იმ მოსაზრებით, რომ პარტიებს მიენდოს, და პარტიები მოაგვარებენ ამ საქმესო.

ბ. არსენიძემ პრინციპიალურად გაიზიარა ჩვენი წინადადება, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეებმა, მაგრამ პრაქტიკულად მიარჩინა განუხორციელებლად დღეს, იმიტომ, რომ ჩვენ ასეთი მოსამართლეები არ გვყავს, და ჯერ ამ სასამართლოს არადერი არ გაუკეთებია, ბევრი გასაკეთებელი აქვს და ვერ მოგვცემს ის პირებს, რომელიც ამ საარჩევნო კომისიისთვის არიან საჭირონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონებო, თუ იმის მახედვით ვილაპარაკებთ, ვინ რა გააკეთა, **ჩვენ** ჩვენ ქალაქის თვითმართველობის გამგეობა ძალიან უნუგეშო სურათს წარმოადგენს. გაკეთების მხრივ იმას ძალიან ცოტა რამ გაუკეთებია, და რას გაკეთებს არჩევნების დროს, ეს ჩვენთვის ძალიან საეჭვო გახლავთ. ისე, რომ შუდამ ჩვენ ამას ნუ გამოუდგებით და პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ დღეს მოსამართლის შემოყვანა კომისიაში შესაძლებელია. საქართველოს თეო ნახევარ ნაწილში ჩვენ გვეყოლება მოსამართლეები, დანარჩენში ჩვენ გვყავს ადგილობრივი მოსამართლეები, ამიტომ, ჩვენის რწმენით, წინაღმდეგობა არაფერში იქნება, რომ მივიღოთ ამ დებულების მუხლი, რომელიც იტყვის, რომ ამ საარჩევნო კომისიაში ოთხილობრივ მოსამართლეებს მიეცემათ მომწყობების როლი. ამიტომ ეს მოსაზრება, რომელიც გამოსთქვეს ჩვენ დებულების წინაღმდეგ, მე მიმაჩნია დაუსაბუთებლად და ამგვარ მნიშვნელობისად, რომელიც ჩვენს წინადადებას ვერ ამბილებს.

თავმჯდომარე. სიტყვა აღარავის ჰსურს? მომხსენებელი.

ალ. ლიმეთათიძე. ბატონებო, რაც შეეხება ბ. შალვა მიქელაძის შესწორებას მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, მით უფრო, რომ დიდი განსხვავება არ არის. სულ ერთია გამგეობა შეადგენს კომისიას, თუ გამგეობის ერთი წევრი. ეიმეორეს დიდი განსხვავება არ ინება იმაში, თუ ვინ შეადგენს კომისიას. შეადგენს მას სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, თუ ერთი მისი წევრი. ისე რომ ამ შესწორებას ჩვენ მივიღებთ.

რაც შეეხება სხვა შესწორებას, მათ საწინააღმდეგოდ, უპირველეს ყოველისა ყურადღებაა ის გარემოება, რომელიც ბ. არსენიძემ გაუზიარა პარლამენტს. არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ ეს ასე არ იქნება, ვინაიდან ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენში. პარტიების გამოცხობა ძალიან ადვილადგვეხერხება; შეიკრიბები ხუთი კაცი შეხანხლავენ პროგრამას და დაარქმევენ პარტიას. თქვენ იძულებული იქნებით, რომ ასეთ პარტიას მისცეთ წარმომადგენლობა საარჩევნო კომისიაში. გარანტია არა გვაქვს, რომ ეს იქნება, და რანაირი სურათი დაიხატება ჩვენ წინაშე. მე მგონია, ამის შედეგი ის იქნება, რომ შემოხვევით შემდგარ ჯგუფებს და პარტიებს ჩაუვარდებათ ხელში ჩვენი ბედ-იღბალი ამ სფეროში. ჩვენის აზრით, ეს იმდენად სერიოზული მოსაზრება არის, რომ არ შეიძლება ამას ანგარიში არ გაუწიოთ, არ მივაქციოთ ყურადღება. ჩემის აზრით, ეს პრინციპი უნდა უარვყოთ. რაც შეეხება ბ. კედიას მეორე მოსაზრებას სრული ჭეშმარიტება ბრძანა, რომ სამართლიანობის პრინციპი უადრესად უნდა დაცული იყოს, ეს ჭეშმარიტებაა, ამის წინაღმდეგ ლაპარაკი არ შეიძლება. მაგრამ, მე მგონია, რომ ბ. კედიაც სცდება, როცა არ უწევს ანგარიშს, რომ აქ გახლავთ მეცხრე თავი. მეცხრე თავი ამ საკითხს ეხება და სრულ გარანტიას გვაძლევს, რომ იქნება დაცული სამართლიანობა! მართალია, მეორე სტატიაში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, თქვენი პრინციპი სავსებით არის დაცული.

რაც შეეხება იმას, რომ ეს პირველი საფეხური ჩაბარდეს სამართლოს, მე არ ვიცი, ჯერ ერთი ეს წმინდა ტეხნიკური მოსაზრება, მე მგონი სახეში მისაღებია, იმ, რომ არის ბევრი მაზრა, რომელსაც მომრიგებელი მოსამართლე არა ჰყავს. მაშინ, როდესაც ეს დებულება მუშავდებოდა, ეს სასამართლოს აპარატს წარმოადგენდა მთლ უფრო მოუწყობელ აპარატს, მაშინ იმაზე ლაპარაკი მეტი იყო. თუ ამას მივიღებთ სახეში, მეორეს მხრივ მიგიღებთ სახეში იმას, რომ, ძნელი წარმოსადგენელია, იმდენი წევრი აღმოჩნდეს საზოგადოებაში, რომ თვითეული მაზრაში გაუძღვეს ამ საქმეს. მაშინ დავინახავთ, რომ ეს წმინდა ტეხნიკურის მხრივაც შეუძლებელი გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ერთი

მეორე: მომრიგებელ მოსამართლეს, და სახოგადოდ მოსამართლეს ეხლა იმდენი აუარებელი საქმე აქვს, რომ თუ ისინი თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას გაუძღვებიან, ესეც დიდი ბედნიერება იქნება ჩვენთვის.

მაშასადამე, პრინციპი სამართლიანობისა ჩვენის აზრით, კომისიის აზრით, საესებით არის დაცული მეტადრე თავში. აქ არის თვალი რიგი შემთხვევებისა, რომ თუ ვინიცობაა დაარღვიეს ესა თუ ის მუხლი კანონისა ან და დაარღვიეს მთელი კანონი, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო.

შემდეგ, მაგალითად, ამმარჩეველს აქვს უფლება პროტესტი განაცხადოს, საჩივარი შეიტანოს. სამაზრო საარჩევნო კომისიას აქვს უფლება განაჩენი გამოიტანოს, და თუ ვინიცობაა შომჩივანი სამაზრო კომისიის განაჩენს არ ეთანხმება, უფლება აქვს შეიტანონ საჩივარი საოლქო კომისიაში და ცენტრალურ კომისიაში. ერთი სიტყვით, მეცხრე მუხლში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი გარანტიებისა. ამ მოსაზრებით მე ვარ მოხრე და დავიცავ იმ რედაქციას, რომელიც აქ წარმოადგინა კომისიამ.

რაც შეეხება ბ. გობერჩის შესწორებას, არ ვიცი აქ შეცდომა არის თუ არა. აქ სწერია: სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს მაზრის ერობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს ერთ-ერთ წევრს; ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან პარტეტულ ნიადაგზე...

როგორც ამ შესწორებიდან სჩანს ავტორი მარტო ერობას ანდობს საქმის მოწყობას. ჩაგრამ ერობა ყველგან არ გვაქვს. როგორ უნდა მოვაწყოთ მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში, თიონეთის მაზრაში, და დანარჩენ მაზრებში, როგორ უნდა მოაწყონ ეს საქმე. ეს ყოველად შეუძლებელია, მაშასადამე მეორე მიზეზს, რომ თავი დავანებოთ, ტეხნიკურად ეს ყოველად შეუძლებელია, მარტო რომ ერობას მივანდოთ, ამგვარად ეს შესწორება მიუღებელია და უნდა მიღებულ იქმნეს კომისიის აზრი.

თავმჯდომარე. გთხოვთ წაიკითხოთ შესწორება ბ. მიქელაძისა.

მდივანი. (კითხულობს) სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა მაზრაში მომქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, ამბანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

თავმჯდომარე. ამრიგად, მომხსენებელი ეთანხმება ამ შესწორებას, რომელიც შემოტანილია მიქელაძის მიერ. მს უყრი მე კენჭს. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი?

მაშასადამე შესწორება მიღებულია.

მეორე შესწორება შემოტანილია პარლამენტის წევრის სპ. კედიას მიერ. გთხოვთ წაიკითხოთ.

მდივანი. (კითხულობს) სამაზრო საარჩევნო კომისია სდგება ამნაირად: საოლქო სასართლო ნიშნავს საპაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, ან თავის წევრს ან მომრიგებელ მოსამართლეს. თავმჯდომარე ირჩევს კომისიის ორ წევრს, ადგილობრივ მცხოვრებთაგან. მაზრაში შომქმედი პოლიტიკური პარტიები კომისიაში თითო-თითო წარმომადგენელს გზავნიან, რომელნიც სარგებლობენ კომისიის წევრის სრულ უფლებით. ასე შემდგარი კომისია ირჩევს თავმჯდომარის ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

თავმჯდომარე. ამ შესწორებას მომხსენებელი უარყოფს. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი წინადადება არის შემოტანილი პარლამენტის წევრის გ. [illegible] მიერ. გთხოვთ წაიკითხოთ.

მდივანი. (კითხულობს) სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს მაზრის ერობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს ერთ-ერთ წევრს; ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან პარიტეტულ საფუძველზე.

თავმჯდომარე. ეხლა კენჭს უყრი ამ წინადადებას.

ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი?

შესწორება უარყოფილია.

ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი, რომ მეტი მუხლი მიღებული იყოს იმ შესწორებით, რომელზედაც დასთანხმდა მომხსენებელი?

გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) მუხლი 13. სამაზრო საარჩევნო კომისიებს ევალებათ: 1) დაარსება სოფლის საზოგადოებისა და წვრილი სასოფლო ერთეულების კომისიებისა: 2) თვალ-ყურის დევნება, რომ ამ კომისიებმა თავის დროზე დაიწყონ მოქმედება; 3) მაზრის სასოფლო საზოგადოების და წვრილ სასოფლო საარჩევნო უბნებად დანაწილების წარდგენა ცენტრალურ კომისიაში; 4) საარჩევნო სიების თავის დროზე შედგენა და მათი საყოველთაოდ განხილვად გამოფენა; 5) დამზადება და დაგზავნა საარჩევნო ყუთებისა; 6) განხილვა პროტესტებისა და საჩივრებისა სიების უწესოდ შედგენაზე და აგრეთვე სოფლის საზოგადოების და სოფლის წვრილ საარჩევნო ერთეულის სხვა არა წესიერ მოქმედებისა: 7) ზომების მიღება, რათა ამრჩევლებს ეცნობოთ საკანდიდატო სიები; 8) გამორკვევა მაზრაში საკანდიდატო სიებს მიერ მიღებულ ხმების რაოდენობისა და 9) საარჩევნო წარმოების ცენტრალურ კომისიაში გადაცემა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) მუხლი 14. იმ ქალაქებში, რომელთა მცხოვრებლების რაოდენობა ორი ათას აღემატება, არსდება ცალკე თავადარი საქალაქო საარჩევნო კომისია. ხსენებულ კომისიას ირჩევს ქალაქის საბჭო თავის წრიდან მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. ტფილისში საქალაქო საარჩევნო კომისია შესდგება ცხრა წევრისაგან, ქუთაისში და ფოთში შვიდ-შვიდისაგან, ხოლო დანარჩენ ქალაქებში ხუთის წევრისაგან, საქალაქო კომისიები ირჩევენ თავიანთ წრიდან თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინდარს და მდივანს.

საქალაქო საარჩევნო კომ-სიებში შედის ყველა წევრის სრული უფლებით დღიდან ცენტრ. კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა თითო წარმომადგენელი იმ პოლიტ. პარტიის ან ჯგუფისა, რომელთაც საკანდიდატო სია წარმოუდგენია.

თავმჯდომარე. ვინ არის წინაადმდეგი? მიღებულია.

გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) **შენიშვნა.** გარდა ტფილისისა, ქუთაისისა და ფოთის საარჩევნო კომისიებისა თავმჯდომარის ამხანაგის ყოლა სავალდებულო არაა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) **მუხლი** 15. საქალაქო საარჩევნო კომისიებს ევალებათ: 1) **დაყოფა ქალაქისა საარჩევნო** უბნებად; 2) თვალ-ყურის **დევნება,** რომ ამ **კომისიებმა** თავის **დროზე** დაიწყონ მოქმედება; 3) **წარდგენა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო უბნებად დაყოფისა ცენტრალურ კომისიაში; 4) ქალაქში საარჩევნო სიების შედგენა და მათი საჯაროდ გამოფენა; 5) დამზადება და განაწილება საარჩევნო ყუთებისა; 6) განხილვა პროტესტებისა და საჩივრებისა სიების უშუალოდ შედგენაზე და აგრეთვე საარჩევნო უბნების კომისიების სხვა არა წვრილი მოქმედებისა; 7) ზომების მიღება, რათა ამრჩevლებს თავიდ დროზედ ეცნობოთ საკანდიდატო სიებ; 8) ოათვალა ქალაქში საკანდიდატო სიების მიერ მიღებულ ხმებისა; 9) საარჩევნო წარმოების ცენტრალურ კომისიაში გადაცემა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე ეს მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეთექვსმეტე მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) **მუხლი** 16. ქალაქის საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ქალაქის მთავარ საარჩევნო კომისიის პრეზიდიუმი, თავმჯდომარე კი ადგენს კომისიას ქალაქში მომქმედ ჰოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისია ირჩევს თავმჯდომარის ამხანაგს და მდივანს. საუბნო კომისიაში წევრის სრულის უფლებით შედის დღიდან ცენტრალურ კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა თითო წარმომადგენელი საკანდიდატო სიის განმცხადებელ პარტიისა თუ ჯგუფისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის ბ. მიქელაძეს.

შალვა მიქელაძე. (ს.-ფ.) ჩვენი შესწორება ისეთივე ხასიათისა არის, როგორიც წინად მიიღო პარლამენტმა. ისე, რომ ჩვენ შემოგვაქვს ამგვარი შესწორება: (კითხულობს) ქალაქის საარჩევნო უბნის კომისიას ირჩევს ქალაქის მთავარ საარჩევნო კომისიის პრეზიდიუმი ქალაქში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს თავის წრიდან.

თავმჯდომარე. ვის სურს კიდევ სიტყვა? არავის. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ალ. ლომთათიძე. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ვერ დავთანხმებით ამ შესწორებას, და აი რატომ: პრაქტიკამ, არჩევნების პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ უფრო ადვილია, ცხოვრებაში გასატარებლად უფრო ადვილად მოსახერხებელია, როდესაც კომისიის თავმჯდომარეს უფრო მოქნილი ორგანიზაცია ნიშნავს ასეთ ორგანიზაციად ჩვენ მიგვაჩნია პრეზიდიუმი, ეს მგონია, რომ თუ უფრო ფართო კოლეგიას დავაკისრეთ, ხშირად შეიძლება ქაოსი არ შესდგეს. პრეზიდიუმი უფრო მოქნილია, უფრო სწრაფად მოქმედობს კოლეგიაზედ ღა ამიტომ საქმისთვის უფრო შესაფერისია და მიხან შეწონილი. ამიტომ ჩემის აზრით, ეს მუხლი უნდა დარჩეს ისე, როგორც არის წარმოდგენილი.

თავმჯდომარე. მაშასადამე, კენჭს ეყარა იმ შესწორებას, რომელიც შემოიტანა ბ. მიქელაძემ. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? ეს შესწორება უარყოფილია, გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) **მუხლი** 17. ქალაქის საუბნო კომისიას ევალება: 1) მიღება და წინასწარი დათვლა საარჩევნო ბარათებისა და 2) მთელი უბნის საარჩევნო წარმოების ქალაქის მთავარ კომისიაში გადაცემა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) **მუხლი** 18. სოფლის საზოგადოების კომისიას ადგენს სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია საზოგადოებაში მომქმედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისიაში შვიდი წევრია. კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს.

სოფლის საზოგადოების კომისიაში წევრის სრული უფლებით დღიდან ცენტრალურ კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედეგს თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკურ პარტიისა ან ჯგუფისა, რომელთაც საკანდიდატო სია წარუდგენიათ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) **მუხლი** 19. სასოფლო საზოგადოების კომისიას ევალება: 1) წვრილ სასოფლო ერთეულებისთვის საარჩევნო მასალისა და საარჩევნო ყუთების მიწოდება; 2) საზოგადოების დ ყოფა წვრილ სასოფლო საარჩევნო ერთეულებად; 3) წარდგენა ამ დაყოფისა სამაზრო კომისიაში; 4) შედგენა წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიების; 5) ხელმძღვანელობა საარჩევნო სიების წესიერად შედგენისა და ამჩრევლების ამწერელთა მუშაობისა; 6) თვალყურის დგება ალწერის დროზე დაწყებისა და დასრულებისა; 7) თვალყურის დგენება სიაში არვინ დარჩეს შეუტანელი; 8) წინასწარი დათვლა საარჩევნო ბარათებისა; 9) პრატესტგზისა და სჩჩივრების მიღება და სამაზრო კომისიისთვის გადაცემა და 10) მთელი საზოგადოების საარჩევნო წარმოების სამაზრო კომისიაში წარდგენა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 20) წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიას მოაწყობს სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისია სამაზრო კომისიის ხელმძღვანელობითა და ჩვენებით ხუთის წევრისაგან, რომელიც სდგება თანაბლად დანარჩენ კომისიების მოწყობის პრინციპისა. ამ კომისიის სამოქმედო სივრცე არ უნდა აღემატებოდეს ორ სამ ვერსიან რადიუსის სივრცეს.

ამ კომისიაში წევრის სრული უფლებით დღიდან ცენტრალურ კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედეგს თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკურ პარტიისა, ან ჯგუფისა, რომელთაც საკანდიდატო სია წარუდგენიათ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს). 21) წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიას ევალება: 1) ყოველ-მხრივი დახმარება ამჩრევლთა ამწერელთისა; 2) დროთანად მიღება სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიისაგან საარჩევნო მასალისა და საარჩევნო ყუთებისა; 3) დათვლა ყუთიდან ამოღებულ კონვერტებისა (გაუხსნელად) და მათი რაოდენობის ხმის მიმცემთა რაოდენობასთან შეეფარდება და 4) მთელი საარჩევნო წარმოების სასოფლო საზოგადოების კომისიაში გადაცემა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია, გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალექსანდრე ლომთათიძე (კითხულობს). 22) სოხუმის საოლქო საარჩევნო კომისიას ადგენს სოხუმის ქალაქის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, ოკანასკნელი კი აწყობს ცხრა წევრიან კომისიას ოლქში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისიას ჰყავს გარდა თავმჯდომარისა მისი ამხანაგი, მდივანი და ხაზინადარი, თავის წრიდან არჩეულები.

სოხუმის საოლქო კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან საკან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდატო სიის ცენტრალურ კომისიის მიერ მიღებისა შედის თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკურ პარტიისა ან ჯგუფისა, რომელთაც საკანდიდატო სია წარმოუდგენიათ.

თავმჯდომარე. არის შესწორება, რომელიც ბ. მიქელაძემ. შემოიტანა (მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ.

მდივანი. (კითხულობს) სოხუმის საოლქო საარჩევნო კომისიას ირჩევს სოხუმის ქალაქის განგეთა ოლქში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა ძალთა განწყობილების მიხედვით. კომისია ირჩევს თავიანთ წრიდან თავმჯდომარეს, ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი ამ შესწორებას. მომხსენებელი თანახმა არის რომ ის შესწორება, რომელიც შემოტანილი იყო ზეგით, ამ მუხლშიაც შეტანილი იყოს. ვინ არის მომხრე, რომ ეს შესწორება შევიტანოთ ამ მუხლში? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ.

მიღებულია.

გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმოთათიძე. (კითხულობს) **შენიშვნა:** სოხუმის საოლქო კომისიას ისეთივე მოვალეობანი ეკისრება, როგორც სამაზრო კომისიას აქვს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმოთათიძე, მუხლი 23. ზაქათალის საოლქო კომისიის ადგენს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია ოლქში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით ცხრა წევრისაგან კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი და ხაზინადარი.

კომისიაში წევრის სრული უფლებით დღიდან ცენტრალურ კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისი შედის თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკირის პარტიის ან ჯგუფისა, რომელთაც საკანდიდატო სია წარუდგენიათ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაკითხოთ შენიშვნა,

ალ. ლიმოთათიძე (კითხულობს) **შენიშვნა.** ზაქათალის საოლქო კომისიას ისეთივე მოვალეობანი ეკისრება, როგორც სამაზრო კომისიას აქვს.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაკითხოთ 24 მუხლი.

ალ. ლიმოთათიძე. (კითხულობს) 24) სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში სოფლის საზოგადოებისა და წვრილი სასოფლო საარჩევნო კომისიები ეწყობა და მათი მოვალეობანი განისაზღვრება თანახმად ამა დებულებ ს 18—21 მუხლებისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ 25-ე მუხლი.

ალ. ლიმოთათიძე. (კითხულობს) 25) ყოველგვარი აქტები და ქაღალდები, დამფუძნებელ კრების საქმეების შესახებ შედგენილი, როგორც ისინი, რომელნიც ეგზავნებიან მთავრობას, სასამართლოს, ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ დაწესებულებებს, აგრეთვე ისინიც, რომელთაც ხელნებული დაწესებულებანი ან თანამდებობის პირნი გამოსცემენ, თავისუფალია საღერბო და სხვა გადასახადებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) **თავი** IV. საარჩევნო სიები. 26. დამფუძნებელ კრების არჩევნების საწარმოებლად სიები სდგება თვითეულ საარჩევნო უბანში ცალკ-ცალკე.

თვითეული აბორჩეველი შეტანილ უნდა იქნას მხოლოდ ერთ რომელიმე საარჩევნო უბნის სიაში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 27 საარჩევნო სიების შედგენა ევალებათ ქალაქებში ქალაქის მთავარ საარჩევნო კომისიებს, სოფლად სათანადო სამაზრო საარჩევნო კომისიას. სოხუმის და ზაქათალის ოლქებში—ოლქის მთავარ საარჩევნო ჩომისიებს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 28. დღე საარჩევნო სიების შედგენის დაწყებისა მთელ რესპუბლიკაში ინიშნება რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ და გამოცხადდება საყოველთაოდ იმ გზით, რომელიც რაც შეიძლება უზრუნველჰყოფს მცხოვრებლების მიერ ამ დღის გაგებას.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 29. საარჩევნო უბნის სიაში შეაქვთ საარჩევნო უფლების მქონე ის პირნი, რომელიც იქ სცხოვრობენენ სიის შედგენის დაწყების დღემდე, თუნდაც დროებით. წასულიც კი იყვნენ იქიდან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი?, არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ 30-ე მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 30. ვინც საარჩევნო უბნში სიების შედგენის დაწყების შემდეგ დაბრუნდება, ის შეიძლება შეტანილ იქნას სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითონ შეიტანს შესაფერ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიაში. ასეთი განცხადება წარდგენილ უნდა იქნას იმ დროის განმავლობაში, სანამ სიებს ადგენენ და განმავლობაში ხუთის დღისა დღიდან სიების საქვეყნოდ გამოცხადებისა. ამ განცხადებასთან ერთად უნდა განცხადებასთან ერთად უნდა განცხადებულ იქნას, რომ ისინი გამოირიცხონ წინანდელ საცხოვრებელ ადგილში შემდგარ სიიდან და ასეთი განცხადება გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 31. საარჩევნო სიაში აღინიშნება გვარი ან მეტი სახელი თვითეული ამრჩეველისა, სახელი, მამის სახელი, წლოვანობა, ეროვნება, სარწმუნოება, იცის თუ არა წერა კითხვა, რა სასწავლებელი გაუთავებია, რა ხელობისაა, სადაა მიწერილი. გვარები თვითეულ საარჩევნო უბანში ანბანის წესსე უნდა იყოს ჩამოწერილი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 32. საარჩევნო სია შედგენისთანავე დაუყოვნებლივ ყოველ შემთხვევაში კი, არა უგვიანეს ორმოცი დღისა არჩევნების დაწყებამდე საქვეყნოდ გამოცხადდეს ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) 33. ა[illegible]ის დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო სიის გამოქვეყნებისა ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეუძლია განაცხადოს პროტესტი, საარჩევნო ხმის უფლების მქონეთ კი შეუძლიანთ საჩივარი შეიტანონ, რომ სია არაა სწორად შედგენილი, ან იგი სრული არაა.

ხსენებული პროტესტები და საჩივრები შეაქვთ სამაზრო, ან საქალაქო (სოხუმის და ბაქაოლის ოლქებისთვის—საოლქოში) საარჩევნო კომისიებში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ 34 მუხლი.

ალექსანდრე ლომთათიძე (კითხულობს) 34. ხსენებულ კომისიებს შეუძლიანთ დაიმაყოფილონ: 1) საჩივრები სიაში მომჩივანთა შეუტანლობაზე, თუ ეს საჩივრები შემოტანილია ხუთის დღით ადრე მე 30 მუხლში აღნიშნული ვადის გათავებისა და 2) საჩივრები მომჩივანთა შესახებ არა სწორი (ნაკლების შეტანაზე) საარჩევნო სიებში აღნიშნულ საჩივართა დაკმაყოფილებას. მოჩივანთ ატყობინებენ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებული გახლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 35. ყველა დანარჩენი საჩივრები ან პროტესტები სამის დღის განმავლობაში გადაგზავნება რესპუბლიკის ცენტრალურ კომისიაში და მათთან ერთად გაიგზავნენა ახლა განმარტება ზემოხსენებული კომისიებისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია, გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 36, არა უგვიანეს სამის დღისა მე-30 მუხლში აღნიშნულ ვადის გათავებამდე საყოველთაოდ ცხადდება დამატებითი საარჩევნო სია, რომელშიაც შეაქვთ მხოლოდ: 1) ისინი, ვინც აღნიშნულია მე-30 მუხლში, ვინ განცხადება სიაში თავის დროზე შეუტანლობაზე დაკმაყოფილებულია, 2) ისინი, ვინც აღნიშნულია მე 34 მუხლში და ისინი, ვინც დაუკმაყოფილებიათ სათანადო კომისიებს.

დამატებით საარჩევნო სიას შედგენენ თანახმად მე 29 მუხ. აღნიშნული წესებისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 37. პროტესტები და საჩივრები დამატებით, სიების შესახებ გაიგზავნებიან მე 33 და მე 35 მუხლების წესით მე-33 მუხლში აღნიშნულ ვადის გათავებამდე.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. შემდეგი მუხლ .

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) 38 პროტესტებს და საჩივრებს ცენტრალური კომისია იხილავს ხუთის დღის განმავლობაში, ერთ კრებაზე, საადმინისტრაციო მოსამართლეების მიერ შემოღებულ წესით თანახმად საადმინისტრ. სასამართლოების დებულებისა (დაკან. კრებ 1917 წ. მუხ. მე 629). საქმის გადრჩევაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ პროტესტერ, ან საჩივრის შემტანისა და განსაჩივრებულ სიის შემდგენელ კომისიის წარმომადგენელი გარდა აგრეთვე იმისაც, ვის საარჩევნო უფლებაზე დავაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ. შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე, (კითხულობს) მუხლი 39 ცენტრალურ კომისიის გადაწყვეტილებაზე შეიძლება პროტესტის და საჩივრის გადატანა საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში ათის დღის განმავლობაში და ასეთი პროტესტების და საჩივრების მიცემა საარჩევნო წარმოებას არ აჩერებს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 40. საოლქო სასამართლო საადმინისტრაციო განყოფილებაში აღნიშნულ პროტესტებს და საჩივრებს იხილავს ხუთის დღის განმავლობაში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 41· საარჩევნო სიები, მათის გასწორების შემდეგ, ხუთის დღის განმავლობაში, იმ გადაწყვეტილების ძალით, რომელიც ცენტრალურმა კომისიამ გამოიტანა და სათანადო, შემთხვევაში საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილების მიხედვით, არა უგვიანეს ათის დღის ვადისა არჩევნების დაწყებამდე, ხელ ახლა გამოქვეყნდება ისე, რომ ხალხს, რაც შეიძლება გაუადვილდეს მათი დათვალიერება.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) თავი V. საკანდიდატო სიები. 42. დამფუძნებელ კრების არჩევნები ხდება ერთ ერთ გამოქვეყნებულ საკანდიდატო სიისთვის ხმის მიცემით.

თავმჯდომარე ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 43. საკანდიდატო სიას ამარჩეველთა ჯგუფი უდგენს ცენტრალურ კომისიას არა უგვიანეს ოცდაათის დღისა არჩევნების დაწყებამდე.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 44. თვითეულ საკანდიდატო სიას საკუთარივ ხელს უნდა აწერდეს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ორმოცდაათზე არა ნაკლები. სიაში აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი თვითეულ წარმოდგენილ კანდიდატისა. სიას თან უნდა ახლდეს განცხადებები ყველა კანდიდატებისა, რომ ისინი თანახმანი არიან კენჭი იყარონ წარდგენილ სიით. სიას შეიძლება მოჰყვეს სახელი მისი წარმომდგენი ორგანიზაციისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 45. საკანდიდატო სიის შემომტან ჯგუფმა უნდა დასახელოს თავისი წარმომადგენელი ცენტრალურ კომისიასთან კავშირის დასაჭერად და ამ კომისიაში სანაწილეოთ არჩეული. თუ წარმომადგენელი არაა დასახელებული, მაშინ ასეთად ჩაითვლება ის, ვისაც პირველად აქვს ხელი მოწერილი განცხადებაზე. რათა შინ მიუვიდეს ხოლმე უწყებები ცენტრალური კომისიისა, ჯგუფის წარმომდგენელმა უნდა აცნობოს თვისი მისამართი იმ ქალაქში, სადაც კომისია მოქმედებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყებები მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება, უკეთუ ისინი გამოკრულია კომი-
სიის ბინაზე. გარდა ამისა ამომრჩეველთა ჯგუფმა, რომელსაც სურს თავისი
წარმომადგენელი იყოლიოს სამაზრო, საოლქო, საქალაქო და საუბნო საარჩევ-
ნო კომისიებში უნდა დაასახელოს, თუ ვისი შეყვანა სურს მას ხსენებულ კომ-
ისიებში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღე-
ბულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 46. ერთს ამომრჩეველს შეუძლია ხელი
მხოლოდ ერთს საკანდიდატო სიას მოაწეროს; თუ ერთ და იმავე ამომრჩეველს
ხელი ორსაც, ან მეტ სიაზე მოუწერია, იმ შემთხვევაში მისი ხელ-მონაწერი ნა-
მდვილად ჩაითვლება მხოლოდ იმ სიაზე, რომელიც ყველაზე ადრე შესულა
ცენტრალურ კომისიაში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხ-
ლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 47. ერთი კანდიდატის სხვა და სხვა სი-
აში შეტანა დაუშვებელია.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღე-
ბულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) 48. ცენტრალური კომისია საკანდიდატო
სიის მიღების ხელმოწერილ ბარათს აძლევს, რომელზედაც აღნიშნული უნდა
იყოს თვე, დღე და საათი სიის მიღებისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღე-
ბულებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 49. თუ წარმოდგენილი საკანდიდატო სია
არ აკმაყოფილებს მე-54, 46 და 47 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებებს, იმ
შემთხვევაში ცენტრალური კომისია აცნობებს ამას ჯგუფის წარმომადგენელს
სამის დღის განმავლობაში. განცხადებები ხსენებულ ნაკლთა გასწორების შესა-
ხებ შეიძლება შეტანილ იქნას არა უგვიანეს ოცდოთხი ეკლესიის არჩევნების
დაწყებამდე.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღე-
ბულია. შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე, (კითხულობს) 50. წარდგენილი საკანდიდატო სიები,
რომელნიც აკმაყოფილებენ მე 42 და მე-44 45 მუხლ. აღნიშნულ მოთხოვნილებ-
ებს, ცენტრალურ კომისიის მიერ ინფორება მათი შემოტანის რიგის მიხედვით.
ამ ნუმერაციით და ეგრეთვე ორგანიზაციების სახელებით, თუ სიების თან მო-
ჰყვეს ასეთები, საკანდიდატო სიები გამოიფინება კომისიის წინაშეში არა
უგვიანეს ოცდასამის დღისა არჩევნების დაწყებამდე და მერე დაუყონებლივ
ეტყობინება სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს და საყო-
ველთაოდ ცხადდება,

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღე-
ბულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 51. საკანდიდატო სიების შეტანა ჯგუფთ
შეუძლიანთ არა უგვიანეს ხუთმეტი დღისა არჩევნების დაწყებამდე ეგ განცხა-
დონ ცენტრალურ კომისიაში, რომ მათ სურთ განსაზღვრულ საკანდიდატო
სიების შეერთება. ამ განცხადებაზე ხელი უნდა ეწეროთ შეერთების მსურველ
ყველა ჯგუფთა წარმომადგენელთ. ასეთს შეერთებას ცენტრალური კომისია
აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს განცხადების მიღების მეოთხე დღისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 52. ერთი და იგივე სია მხოლოდ ერთ შეერთებაში შეიძლება შედიოდეს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია.

ვინ არის, მომხრე, რომ მეხუთე თავი ყველა თავისი მუხლებით მიღებული იქმნეს? ვინ არის წინააღმდეგი? მეხუთე თავი მიღებულია.

თავი მეექვსე.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს). **თავი VI. საარჩევნო ბარათების მიღება და დათვლა.** 53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

თავმჯდომარე ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია.

შემდეგი მუხლი,

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

ნიმუშს საარჩევნო ბარათისას აწესებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს ოცდახუთმეტი დღისა არჩევნების დაწყებამდე.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) **მუხლი** 55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას აქვს ასეთი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) 56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, ბნელი, სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარ ევნო კომისიისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) 57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს.

კედია. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მეტი გარანტიისათვის, რომ საარჩევნო ბარათები და კონვერტები ხელმოწერილ იქმნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

თავმჯდომარე. ვის სურს კიდევ სიტყვა? არავის. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ლომთათიძე. თუ არა ვცდები ეს მე-55 ეხება. და შეცდომა იქნება აქ რომ შევიტანოთ.

მე არა მაქვს არაფერი საწინააღმდეგო. მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი იქნებოდა, რომ შეტანილი იყოს მე-56 მუხლში, სადაც არის ლაპარაკი, რომ კონვერტს უნდა ეხვიოს ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კოსმისიაში.

თავმჯდომარე (კედია) თქვენი წინადადება არის, რომ ეს იყოს მე-56 მუხლში? მომხსენებელი წინაადადება არ ბრძანდება. მაშასადამე შესწორება მიღებული იქნება. (არსენიძე: კენჭი უყარეთ). კენჭს უყრი ამ წინადადებას. ვინ რას მოიხრ, რომ შეტანილი იყოს ეს შესწორება, რომელიც შემოიტანა ბ. კედიამ და რომელსაც ეთანხმება მომხსენებელი.

ვინ არის წინაადმდეგი?

მაშასადამე ეს შესწორება უარყოფილია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი,

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს 58 მუხლს) 58. საარჩევნო ბარათებში საკანდიდატო სიის ტექსტი იბეჭდება ქართულად, მაგრამ სიის წარმომდგენელ ჯგუფს უფლება აქვს სიის წარმოდგენასთან ერთად მოითხოვოს, რომ შესაფერ საარჩევნო ბარათში შეტანილ იქნეს თავგამანი ტექსტისა იმ ენაზე, რომელსაც ჯგუფი უჩვენებს. თუ ასეთი განცხადება არის. მაშინ მისი შემომტანი ჯგუფი ვალდებულია განცხადებასთან ერთად წარადგინოს თავგამანი ტექსტისა.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს 59 მუხლს) 59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს 60 მუხლს) 60. საქალაქო საარჩევნო კომისიები წინდაწინ ამზადებენ სახელობით მოწმობას ქალაქის თვითეულ ამრჩევლისთვის. ამ მოწმობებში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, ან მეტი სახელი ამრჩეველისა, მისამართი მისი, საარჩევნო ნაწილი და ის ნუმერი, რომელიც ამომრჩეველის რიგს აღნიშნავს საარჩევნო სიაში. იქვე უნდა იყვეს ნაჩვენები დრო და ადგილი ხმის მიცემისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა 60 მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის გაბაშვილს.

გაბაშვილი. მე ჯერ უნდა განვაცხადო ამის თაობაზე, არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ კრება არ იყო გამოცხადებული და, როგორც ვხედავ, ნახევარი წევრებისა აქ არ არის.

შემდეგ ამ მუხლის თაობაზედ, აქ არის ასეთი განმარტება: რომ ყოველ საარჩევნო ბარათებში უნდა იყოს აღნიშნული სახელი, მამის სახელი, გვარი ან მეტი სახელი. აქ არაჩვეულებრივი მოვლენა არის. მეტი სახელი ათასნაირი არის ხალხში მიღებული. შეიძლება კაცს ცხრამეტი მეტი სახელი ჰქონდეს, და ამიტომ, თუ მეტი სახელი მამის სახელის და გვარის მაგივრად იქნება, შესაძლებელია ასეთი დანაშაულობა, რომ ერთი და იგივე კაცი, რომელსაც ცხრამეტზე მეტი სახელი ექნება, ცხრამეტ საარჩევნო ადგილას მივიდეს და გამოცხადდეს. ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ, რომ ასეთი დამატებები იყოს შემოტანილი. ყველა ადამიანს აქვს თავის სახელი და გვარი, და ზედეტი სახელი და გვარი, და ზედმეტი სახელი სრულიად მეტია. ამიტომ მე მოვითხოვ, რომ ეს ამოშლილი იყოს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ივანე გომართელს.

ივანე გომართელი. (ალიონელი) აქ, მე მგონია, საკამათო არაფერია, ამ მეტ სახელს აქვს, თავისი მნიშვნელობა. ეს ისეთი მნიშვნელობაა, რომ ზოგი-

ერთ პირებს ჩვენი საზოგადოება უფრო იცნობს ამ მეტი სახელით, ვიდრე თავის ნამდვილ სახელ-და გვარით. მე მგონია თავის ნამდვილი გვარი რომ დასწეროს, საზოგადოება ვერ იცნობს და ბევრი არ მისცემს ხმას, მეტი სახელ- რომ დასწეროს უფრო გასაგებია. მე მგონია ეს მეტი სახელი უნდა დარჩეს, არ უნდა ამოიშალოს. აი, მაგალითათ ჩვენ საზოგადოება ვეშაპიძე არ იცნობს, ვეშაპელს იცნობს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ. გაბაშვილს.

გაბაშვილი. მე სრულებით არ მოთქვამს რომ მეტი სახელი სულ ნუ იქნება მეთქი. მე იმას ვამბობ, რომ ეს არის აქ გაუკეთებლად ნათქვამი აქ სწერია: (ეთხუულობს) ამ მოწმობაში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარიან მეტი სახელი აბრჩევლისა.

მაგალითათ ნიკოლოზ ხეციძეს იცნობენ როგორც კარლო ხეციძეს. ზოგიერთს იცნობენ მეტი სახელით, იმის სახელს შეიძლება არ ვიცვობდეთ, მაგრამ არ შეიძლება გამოვაქვეყნოთ რაღაც მეტი სახელი: „ხუნუზი“, „ბრადიაგა“ და სხვა. (სიცილი)

მე იმას კი არ ვამბობ ნუ გამოაქვეყნებთ მეტ სახელს ჩვენ ვამბობთ: დაასახელეთ სახელი, გვარი, და, თუ გნებავთ დაასახლეთ მეტი სახელიც.

შეგვიძლიან მეტი სახელი დავწეროთ. მაგრამ უნდა დავწეროთ სახელიც და გვარიც. პირდაპირ რომ დავწეროთ მხოლოდ „ბრადიაგა“ ეს შეუძლებელია თუ გნებავთ მაინც და მაინც ეს სახელი ისტორიულათ დაეკანონოთ, და ამით მისცეთ ისეთი საბუთი, რომ მთელმა ქვეყანამ იცოდეს მისი მეტისახელი, მაშინ სახელი და გვარი უნდა აღინიშნოთ, და მეტი სახელი როგორც დამატებმ, და არა ისე რომ მეტი სახელი აღნიშნოთ გვარის და სახელის მაგივრად.

აქ არის სიტყვა, **ან** სახელი და ბევრი **ან** მეტი სახელი. ამიტომ **ან**-ს თუ აღმოშლითთ აქ ვეშაპელიც მოექცევა და ათასი სხვაც.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთნის მომხსენებელს.

ალ. ლიმთათაძე. აქ აშკარად გაუგებრობა გახლავთ. რეჯაბ გაბაშვილი მართალია იმაში, რასაც ბრძანებს. არის განსაკუთრებული შემთხვევები ქართლის სოფლებში, როდესაც გვარით არ იცნობენ კაცს, და მეტი სახელით იცნოვენ კომისიის აზრი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც მეტი სახელით იცნობენ რასაკვირველია გვარიც იქნება, მაგრამ აქ შეიძლება ბრძოლებში მეტი სახელიც იყოს მოყვანილი. ამ შესწორებას მე ვიზიარებ.

თავმჯდომარე. უნდა იყოს აღმოშლილი სიტყვა **ან**, და იყო ჩაწერილი სიტყვა. **და** ყოველ შემთხვევაში ეს სიტყვა **ან** უნდა აღმოშლილი იყოს. (ხმა: უნდა იყოს მეტი სახელიც).

ალ. ლიმთათაძე. მეტი სახელიც შეიძლება, (ირ. წერეთელი: სავალდებულო არ უნდა იყოს). მე მგონი არ ხდება სავალდებულო, **და** რომ იყოს ეს იქნება სავალდებულო. **და** უარყოფილია, ჩაწერილი იქნება **მეტი სახელიც**. განმარტება უფრო სჯობია შენიშვნით. (ირ. წერეთელი: დიახ უფრო სჯობიან) თუ შეიძლება მე შევიტან მესამე შენიშვნას მე-60 მუხლის რადგანაც ორი შენიშვნა არის. შენიშვნა ასეთი იქნება: იმ შემთხვევაში, როდესაც ამმრჩეველს მეტი სახელი უფრო იცნობენ სარჩევნო კომისიაში (ირ. წერეთელი: ნება აქვთ) შეაქვთ, როგორც გვარი და სახელი, ისე მეტი სახელი. (წერეთელი: ნება აქვთ) მაშასადამე ამისთანა შენიშვნას შემოვიტან.

თავმჯდომარე. ბ. გაბაშვილო, თქვენ წინააღმდეგი ხომ არ ხართ, რომ შენიშვნა იყოს შემოტანილი, როგორც მომხსენებელი ამბობს.

რეჯაბ გაბაშვილი. მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. მე კენჭს უყრი, რომ ეს აზრი იყოს შემოტანილი **შენიშვნის** სახით, როგორც მოგახსენეთ ლომთათიძემ,—როდესაც გარემოება მოითხოვს მაშინ, შეტანილი იქნება მეტი სახელიც ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. შენიშვნა 1: სახელობითი მოწმობები სავალდებულოა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთათვის.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 61. **მთავარი საქალაქო და სოფლის** წვაილი საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან დაურიგონ **თვითეულ** ამრჩეველს ან **ოა** უგვიანეს ვიდი დღისა არჩევნების დაწყებამდე **თითო საარჩევნო** ბარათი თვითეულ გმბოცხადებულ საკანდიდატო სიაზე და **სახელობითი მოწ**მობა ქალაქების ამრჩეველებს.

იმათ, ვისაც უფლება აქვთ მიიღონ სახელობითი მოწმობები და **საარჩევ**ნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღიათ, მიეცემათ: **მოწმობები**—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, **საარჩევნო ბარათები** კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში **არჩევნების** დღეს.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის მომხრე? მიღებულია.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს 62 მხლს) 62. **საქალაქო** და **სოფ**ლის **სა**ზოგადოების **საარჩევნო** კომისიები **ამზადებენ საარჩევნო** ყუთებს, ერთის **ნახ**ვრეტით **საარჩევნო** ბარათების **ჩასაშვებად** და **უგზავნიან** მათ მცირე **საარჩევნო ერთეულებს.**

შენიშვნა. თუ ადგილობრივ პირობების გამო ყუთების გაკეთება ვერ **მოხერხდა,** შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა **მზა-ზხარეული** ყუთები, **მაგრამ** ამ **პირობით,** რომ ისინი **დაალბეყადილებენ** ამ **მუხლში** აღნიშნულ **მოთხოვნილებას.**

თავმჯდომარე. ვინ არის **წინააღმდეგი?** მიღებულია.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) 63. **ქალაქის თვითმართველობა** და **სოფ**ლის **საზოგადოების** ساباحت **დაწესებულებანი** **საარჩევნო** კომისიებს **აძლევენ ბინას** **არჩევნების** **საწარმოებლად.**

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის **წინააღმდეგი?** მიღებულია.

ალ ლომთათიძე. (კითხულობს 64 მუხლს). 64. **თვითეული** **საარჩევნო** **შენ**ობაში **უნდა** **იყოს** ერთი, **არ** **რამოდენიმე** **მოფარებული** **ადგილი,** **რომ** **ამ**ჩეველს, **არჩევნების** **საიდუმლოების** **დაურღვეველად** **შეეძლოს** **ჩასდოს** **კონვერტ**ში **საარჩევნო** **ბარათი.**

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ **არის** **წინააღმდეგი?** **მიღებულია.** **გთხოვთ** **წაიკითხოთ** **შემდეგი.**

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს 65 სუხლს). 65. **საარჩევნო** **ნაწილის** **უბ**ნის **სხდომები** **საჯაროა.** **ხმის** **მისაცემად** **დანიშნულ** **დღეს** **თავმჯდომარე** **კო**მისიისა, **კომისიის** **წევრთა** **და** **ამ** **დროისთვის** **საარჩევნო** **დახრბაზში** **შემოსულ** **პირთა** **თანადასწრებით** **ხსნის** **კომისიის** **კრებას.** **თავმჯდომარე** **რწმუნ**დება, **რომ** **საარჩევნო** **ყუთი** **მთელია** **და** **ცარიელი,** **დახურაეს,** **ბეჭდავს** **მას** **და** **მოიწვევს** **ამრჩეველებს.** **შეუდგენ** **ხმის** **მიცემას.** **სანამ** **საარჩევნო** **ბარათების** **მი**ცემა **გრძელდება,** **კომისიის** **სხდომაზე** **აუცილებლად** **უნდა** **იყოს** **კომისიის** **წევ**რთა **ერთი** **მესამედი** **მაინც.**

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ **არის** **წინააღმდეგი?** **მიღებულია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს 66 მუხლს). 66. საარჩევნო შენობაში მხოლოდ არჩევნების სწარმოება, მოწოდების გამოკიდება ან გაკვრა, ბროშურებისა და პლაკატების დარიგება, საარჩევნო ბარათების გავრცელება, სიტყვების წარმოთქმა და საერთოდ ყოველგვარი საარჩევნო აგიტაცია აკრძალულია, როგორც ოთახებში, სადაც საარჩევნო ბარათებს აძლევენან, აგრეთვე ჯიბეებზე, გასავლელები და საარჩევნო შენობის შესავალ კარებთან. საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე თვალყურს ადევნებს, რომ საარჩევნო შენობაში არჩევნების წარმოების დროს დაცული იქნეს სრული წესრიგი და დაუყონებლივ გაყვანილ იქნას, თუ ვინმემ დაარღვია იგი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? არავის? მიღებულია.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს 67 მუხლს). 67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) თუ ვინმეს ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

თავმჯდომარე ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს 68 მუხლს. 68. თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანახმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო მთავრობათა დაწესებულებებს გამოიგზავნონ მას მილიციელები ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები ერთიანად თავმჯდომარეს ემორჩილებიან და იყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს 69 მუხლს.) 69. თუ წეს-რიგი დაირღვა ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეუყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

თავმჯდომარე ვის სურს სიტყვა ? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს 70 მუხლს). 70. არჩევნები იწყება ეროვნულ საბჭოს მიერ დანიშნულ თვის და დღის. და გრძელდება სამს ღღეს. საუნენო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ბარათების მისაცემად ღია უნდა იყოს სამის დღის განმავლობაში დილის ცხა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე ქალაქში და დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე სოფლებში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს 71 მუხლს). 71. საარჩევნო ბარათი ამორჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩაადოს საარჩევნო ყუთში.

თავმჯდომარე: ვის სურს სიტყვა. ვინ არის წინააღმდეგი. მიღებულია.

მომხსენებელი კითხულობს 72 მუხლს. 72. ამორჩეველი წარუდგენს თავის პირადობის მოწმობას საარჩევნო კომისიის ერთ ერთ წევრს, რომელიც საარჩევნო სიაში აღნიშნავს, რომ ეს ამორჩეველი უკვე გაწოცხადდა, ამორჩეველი კი იღებს კომისიისაგან კონვერტს შიგ საარჩევნო ბარათის ჩასაშვებათ.

შენიშვნა. სოფლ ად საეკ პირადობის მოწმობა არასავალდებულო, ამორჩეველის ვინაობას ამოწმებს თვითონ საარჩევნო კომისია.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა. ვინ არის წინააღმდეგი. მიღებულია.

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს 72 მუხლს). კონვერტს რომ მიიღებს ამორჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ სდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, ბრუნდება საარჩევნო ყუთთან, ადასტურებს დაბეჭდილს კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მას თვლ ფინ აგდებს კონვერტს ყუთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა. ვინ არის წინააღმდეგი. მიღებულია.

ალ. ლიმბოთიძე. (კითხულობს 74 მუხლს). არჩევნების სამეფო დღის განმავლობაში საარჩევნო შენობის კარები იკეტება საღამოს სრულ 9 საათზე ქალაქად და სრულ რვა საათზე სოფლად, საარჩევნო ბარათების მიღება კი გაგრძელდება მხოლოდ იმითგან, ვინც კარების დაკეტვამდეა შესული შენობაშიაარჩევნო ბარათების მოება რომ დასრულდება, თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმის მიცემა ამ დღისთვის დამთავრებულია და საარჩევნო ყუთის ნახვრეტს ლუწავს. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი სტოვებენ საარჩევნო ოთახს, შენობა კი დაიბეჭდება თავმჯდომარის განკარგულებით მეორე დღის დილამდე და შენობის კარებს დარაჯი მიუდგება.

თავმჯდომარე ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? მაშასადამე მიღებულია.

ალ. ლიმბოთიძე. (კითხულობს) 75. არჩევნების მესამე დღეს საარჩევნო შენობა შესავალი კარები იკეტება საღამოს სრულ ცხრა საათზე ქალაქებში და საღამოს სრულ რვა საათზე სოფლებში, რის შემდეგ საარჩევნო ბარათების მიღება ხმოლოდ იმათგან, ვინც შენობაში შესული კარების დაკეტამდე. ბარათების მიცემის გათავების შემდეგ თავმჯდომარე კენჭის ყრას დასრულებულად აცხადებს და განკარგულებას ახდენს გაიღოს კარები. ამის შემდეგ კომისია თავდაპირველად კონვერტებს ითვლის გაუსწელად. თუ კონვერტების რაოდენობა არ ეთანხმება იმ ამრჩეველთა რაოდენობას, რომელთა გამოცხადება აღნიშნულია საარჩევნო სიაში, იმ შემთხვევაში შესაფერი შენიშვნა შეიტანეთ ოქმში და ამის შემდეგ იწყება კონვერტების გახსნა და საარჩევნო ბარათების კითხვა.

თავმჯდომარე ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმბოთიძე. (კითხულობს) 76 ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩაითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირიეა.

ნამდვილად ჩაითვლება აგრეთვე ის ბარათები, რომლებშიაც ქართულ ტექსტთან ერთად დაბეჭდილია მისი თარგმანი სხვა ენაზე.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

ალ ლიმბოთიძე. (კითხულობს).

შენიშვნა. სპეციალურ შემთხვევებში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმბოთიძე. (კითხულობ) 77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათები, რომელნიც არ შეეფერებიან მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათები, რომელნიც შეუფსებელია; 3) ბარათები, ხელმოწერილი ამრჩეველის მიერ, ან ისეთები, რომელზედაც წაშლილია რამე, ან ამოფხეკილი, ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ [illegible] კონვერტში დეგს, რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) ბარათები, თუ კონვერტში ერთზე მეტმ დეგს და თუ მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა. თუ ერთ კონვერტში რამდენიმე ერთისა და იგივე შინაარსის ბარათებია, მაშინ ისინი ერთ ბარათად ითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის მინაღმდეგიკ არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 78. თუ კომისიაში ექვები. მაშინ ბარათის სინამდვილის საკითხი სწყდება ხმის უმეტესობით; თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავმჯდომარის ხმა საკითხის გადამწყვეტია.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე (კითხულობს) 79. ნამდვილად ცნობილი საარჩევნო ბარათები ოვითეულ საკანდიდატო სიისთვის ცალკე ითვლება.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გრხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 80. ყველაფერი, რაც ხდება კომისიაში მისი სხდომების გახსნიდან დახურვამდე ოქმში იწერება. ხსენებულ ოქმში—შეიქმ, კერძოთ, ყველა განკარგულებანი თავმჯდომარისა, დადგენილებანი კომისიისა, აგრეთვე განცხადებანი, რომელნიც შეიტანება შემოტანილ იქმნას კომისიაში მონაწილე ამრჩეველთა მიერ. გარდა ამისა ოქმში აღინიშნება რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა, რომელნიც თვითეულ საკანდიდატო სიას მიუღია. ღინიშნება აგრეთვე რაოდენობა იმ ბარათებისა, რომელიც არ უცვლიათ ნამდვილ ბარათებად და იქვე განმარტებულია იქნება საბუთები ასეთი გადაწყვეტილებისა. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი, წევრები და ყველა დამსწრე პირები, თუ მოისურვებენ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ ირის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 81. ოქმები გაიგზავნება მთავარ საქალაქო და სამაზრო საარჩევნო კომისიაში. ოქმებთან ერთად გაიგზავნება ცალკე პაკეტებში: 1) საარჩევნო ბარათები კომისიის მიერ ნამდვილად ცნობილი; 2) ბარათები, კომისიის მიერ ნამდვილად ცნობილი, მაგრამ კომისიის რომლისაშე წევრისთვის სადავო; 3) ბარათები კომისიის მიერ ნამდვილად არ ცნობილი წინაღმდეგ მისი ცალკე წევრების აზრისა და 4) ბარათები, რომელთა სინამდვილე კომისიას ერთხმათ უარუყვია.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 82. სამაზრო, საოლქო და საქალაქო კომისიები წარმოდეენილ ოქმებისა და საარჩევნო ბარათების განხილვის შემდეგ საბოლოოდ არკვევენ და სწყვეტენ, რომელი ბარათები უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ბარათებად და რამდენი ხმა ამოუვიდა თვითეულ საარჩევნო უბანში და მთლად მაზრაში ან ქალაქში, ან ოლქში თვითეულ წარმოდგენილ საკანდიდატო სიას.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 83. სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიის ოქმები საარჩევნო უბნის ოქმებთან ერთად იგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამ ოქმებს თან მიჰყვება ის საარჩევნო ბარათები, რომელიც აღნიშნულია მე-81-ე მუხლის მე-2— 4 პუნქტებში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 84. სამაზრო და საქალაქო კომისიების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომები, რომლებზედაც სწარმოებს განხილვა საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და დათვლა საარჩევნო ბარათებისა საჯაროა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. ვინ არის მომხრე, რომ მთელი მეექვსე თავი მიღებული იყოს? მეექვსე თავი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მე-7-ე თავი.

ალ. ლ«მთათიძე. (კითხულობს) **თავი VII. არჩევნების შედეგების გამოცხადება.** 85. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს ერა სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმებით, ითვლის ყველა ხმას მთელს რესპუბლიკაში რომ მიუცია თვითეულ საკანდიდატო სიისთვის და ამის შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრთა რაოდენობა ნაწილდება წარმოდგენილ საკანდიდატო სიების შორის ამ ხმების რიცხვის პროპორციით, რაც თვითეულ სიას მიუღია მთელს რესპუბლიკაში.

ამ განაწილების წესი ნაჩვენებია მე-87—89 მუხლებში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლ«მთათიძე. (კითხულობს) 86. თუ არჩევნებისთვის დანიშნულ ვადაში არჩევნები ვერ მოხდა ერთს ან რამდენიმე საარჩევნო უბანში და ამასთან ამ უბნების ამრჩეველთა საერთო რიცხვი, რომელთაც ამის გამო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, შეადგენს არა ნაკლებს ერთის მეათედისა მთელის რესპუბლიკის ამრჩეველებისას, იმ შემთხვევაში ცენტრალური კომისია დაუყოვნებლივ განაკარგულებას იხდენს დაინიშნოს ასეთ უბნებში ხელმეორე არჩევნები; თუ ასეთ საარჩევნო უბნების ამრჩეველთა საერთო რიცხვი ნაკლებია ან თუ მეორეხელ დანიშნული არჩევნები არ მოხდა, მაშინ ხმების საერთო დათვლას დროს ცენტრალურ კომისიაში ის საარჩევნო უბნები, სადაც არჩევნები არ მოხდა, ანგარიშში არ ჩაითვლება.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლ«მთათიძე. (კითხულობს) 87. რაოდენობა ხმებისა, მიღებული მთელს რესპუბლიკაში ვითეულ საკანდიდატო სიის მიერ, იყოფა თანდათანობით ერთზე, ორზე, სამზე, ოთხზე და ასე; ამნაირი გაყოფისაგან მიღებულ ნაწილადთაგან გამოიყოფის ყველაზე დიდი ნაწილადები, იმდენი, რამდენიცაა რიცხვი დამფუძნებელ კრების ასარჩევ წევრებისა რესპუბლიკაში; ეს ნაწილადები ჩამწყრიგდება ასე: ჯერ ყველაზე დიდი, მერმე უფრო პატარა და ბოლოდ ბოლოზედ და უკანასკნელი ნაწილადი არის საარჩევნო კოეფიციენტი.

თუ რამდენი წევრი ხვდა თვითეულ საკანდიდატო სიას, ამას ანგარიშობენ ასე: აიღებენ იმ ხმების რიცხვს, რომელიც ამოსვლია განსაზღვრულ საკანდიდატო სიას და გაჰყოფენ საარჩევნო კოეფიციენტზე.

თუ დამფუძნებელ კრების წევრთა ადგილების საკანდიდატო სიათა შორის განაწილების დროს უკანასკნელი ადგილი შეხვდება ორს, ან რამდენიმე სიას, იმ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა იმ სიის კანდიდატს, რომელსაც მეტი ხმა მიუღია. თუ ხმები თანასწორი მიუღიათ, მაშინ საკითხი კენჭის ყრით გადაწყდება.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლ«მთათიძე. (კითხულობს) 88. თუ მე-87-ე მუხლში აღნიშნულ განაწილების დროს რომელსამე საკანდიდატო სიას მასში დასახელებულ კანდიდატთა რიცხვზე მეტი წევრი ჰხვდა დამფუძნებელი კრებას, იმ შემთხვევაში შესაფერი ადგილები დამფუძნებელ კრების წევრებისა დაუჭერელი დარჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 89. თუ საარჩევნო ოლქში არის ისეთი საკანდიდატო სიები, რომელთა შეერთებაზე შესაფერი განცხადება იყო შეტანილი (მუხ. 51) იმ შემთხვევაში დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვის განაწილების დროს, საკანდიდატო სიების შორის ყველა ის ხმები, რომელიც მიუცია ერთსა და იმავე შეერთებაში შესული სიებისთვის, ერთდება და განაწილება ჯერ ხდება ამ შეერთებისა და სხვა დანარჩენ სიებს შორის, ი.ე, როგორც ნაჩვენებია მე-87-ე მუხლში. ამის შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრთა ის რიცხვი, რომელიც თვითეულ შეერთებას ერგო, განაწილდება ამ შეერთებაში მოქცეულ საკანდიდატო სიებს შორის ზემოხსენებული წესისამებრ. თუ რომელიმე შეერთებულ სიას კანდიდატების რიცხვი მოაკლდა, მაშინ დამფუძნებელი კრების წევრთა შესაფერ ადგილს იქერს შეერთების მონაწილე იმ სიის კანდიდატი, რომელსაც საკმარისი აქვს კანდიდატთა რიცხვი და რომელსაც ყველაზე მეტი ხმა მიუღია.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 90. თვითეულ სიაში შეტანილი კანდიდატი დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვში აღინიშნება იმ რიგზე, როგორც შეტანილია სიაში, დაწყებული პირველ კანდიდატიდან.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. ვინ არის მომხრე, რომ მთლად შეშვიდე თავი მიღებული იყოს. მეშვიდე თავი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი თავი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) თავი VIII. დამფუძნებელ კრების წევრობაზე უარის მთქმელთა ადგილების დაკერის წესი. 91. თუ დამფუძნებელ კრების წევრობაზე ვინმემ უარი განაცხადა, იმ შემთხვევაში მის ადგილს დაიკერს თანამდებობის წესით იმ სიის შემდეგი კანდიდატი, რომელ სიითაც არჩეული იყო კრების წევრობაზე უარის მთქმელი.

თუ შეერთებული სიები იყო არჩევნების დროს, მაშინ, თუ ერთ შეერთებულ სიათაგანში კანდიდატი არაა, გათავისუფლებული ადგილს დაიკერს კანდიდატი შეერთების იმ მონაწილე სიისა, რომელსაც კანდიდატები ჰკვეს და რომელსაც არჩევნებში მეტი ხმა ამოსლია.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 92. თუ რომელიმე სიაში ან შეერთების შემდეგ ყველა შეერთებულ სიებში ალარაა კანდიდატი დამფუძნებელ კრების წევრობაზე უარის მთქმელის ადგილის დასაკერად, მაშინ განთავისუფლებული ადგილი დაუკერელი რჩება.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. ვინ არის წინააღმდეგი, რომ მთელი მერვე თავი მიღებული იყოს. მერვეე თავი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეცხრე თავი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) **თავი IX. არჩევნების თავისუფლებისა და ხასზრის დაცვა.** 93 ვინც თავის ნებით მოძრაობს, დახეს, ზემოდან რასმე გადაფარავს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებებს, ცნობებს ან სიებს ამრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსტ-ლებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ წაიკიდხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 94. ვინც თავის ნებით შეიჭრა იმ შენობაში, რომელიც არჩევნების წინასწარი აგიტაციისთვისაა აღებული და საკანდიდატო სიის წარმომდგენელ ჯგუფის განკარგულებაშია, ან გაანადგურებს, ან დააზიანებს არჩევნების წინასწარ აგიტაციისთვის დანიშნულ ლიტერატურას, რომელიც სათანადო ორგანიზაციის განკარგულებაში იმყოფება, ან ვინც დამუქრება, ან ძალადურ მოქმედებას იხმარს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ამ ორგანიზაციის სახელით მოქმედებენ, დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით არა უმეტეს ექვსი თვის ვადისა.

95. ვინც განზრახ ყალბ ცნობებს გამოაქვეყნებს იმ ფაქტების შესახებ რომელნიც კანდიდატის პროგრამისა ან მისი კერძო ცხოვრების შესახებ, იმ მიზნით, რომ ნდობა დაკარგოს მას, ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას, ან გიყვანოს სხვა კანდიდატი—დაისჯება ციხეში ჩამწყვდევით, ან დაჯარით

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 96. ვინც წარმოადგენს ყალბს (поддѣльный) ან გადაკეთებულ განცხადებას კანდიდატობაზე, თანხმობისას დაისჯება გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით.

ასეთივე სასჯელი მიეცემა იმას, ვინც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენს კანდიდატის განცხადებას, რომ ის თანახმა კენჭი იყაროს დამფუძნებელი კრების წევრობაზე და მან იცის, რომ ეს განცხადება ყალბია (поддѣльный) ან გადაკეთებული.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 97. ვინც გაავრცელებს ისეთ საკანდიდატო სიებს, ისეთ საარჩევნო ბარათებს, რომელთა სიყალბე მან კარგად იცოდა დაისჯება სატუსაღოში დაპატიმრებით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 98. ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს საკანდიდატო სიების წარმომდგენთა მიერ მოწვეულ წინასწარ საარჩევნო კრებებს, ან საარჩევნო კომისიების მუშაობას ძალადური მოქმედებით, მუქარით, ალა-უფლებ ბოროტად გამოყენებით ან უფლებების ჩადენით,—დაისჯება სატუსაღოში დაპატიმრებით.

თუ ასეთი ნოქმედება ჩადენილია რამდენიმე შეიარაღებულ პირის მიერ, რასაც მ ფიგურ ზემოხსენებულ კრებებს ან კომისიების მუშაობის შეწყვეტა ემოქკევა, მაშინ დამნაშავე დაისჯება გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით.

თავმჯდომარე ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 99. ეკლესიებსა და ღვთისმსახურების შესასრულებელ სხვა ადგილებზე დამფუძნებელ კრების საარჩევნო აგიტაცია, როგორც მადაკეკის, ისე სიტყვიერი, ან წერითი, დაწოდების სახით, აკრძალულია ყველასთვის. ამის დამრღვევი დაისჯება სატუსაღოში დაპატიმრებით არა უმეტეს ექვსი თვისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 100. ვინც პიროვნებაზე ძალადობრნ, დასასჯელ (наказуемый) მუქარითა, მოტყუებებით, ძალა-უფლების ბოროტად მოხმარით ან ეკონომიურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება,— დაისჯება სატუსაღოში დაპატიმრებით.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს მიქელაძეს.

შალვა მიქელაძე. რა თქმა უნდა დასჯილი უნდა იყოს ყველა ის, ვინც ძალადობას მიმართავს არჩევნების დროს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ძალადობას ვინ ახდენს, და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, იმიტომ, რომ სოფლად ადმინისტრაციის წარმომადგენლები თუ ძალადობას მოახდენენ, მაშინ შეიძლება არსებითად შეიცვალოს სურათი არჩევნებისა. ამის ყურადღება უნდა მივაქციოთ, იმიტომ ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ ამ აუხსნელი შევიტანოთ შემდეგი შენიშვნა: (კითხულობს) ის წარმომადგენელი ადმინისტრაციისა, რომელიც საარჩევნო ბიულეტენებს და საგიტაციო ფურცლებს, დაარიგებს ან და პროპაგანდას და აგიტაციას გასწევს, რომელიმე სიის სასარგებლოდ, დათხოვნილ იქნება სამსახურიდან და დაისჯება სატუსაღოში დაპატიმრებით სამიდან ექვს თვემდე. ეს აუცილებლად საჭიროა იმისთვის, რომ არჩევნებს მართლა მიეცეს სწორი და ნამდვილი ხასიათი.

ალ. ლომთათიძე. შესწორება ასეთი გაბლავს: (კითხულობს) ის წარმომადგენელი ადმინისტრაციისა, რომელიც საარჩევნო ბიულეტენებს და საგიტაციო ფურცლებს დაარიგებს ან და პროპაგანდას და აგიტაციას გასწევს რომელიმე სიის სასარგებლოდ—დათხოვნილ იქნება სამსახურიდან და დაისჯება სატუსაღოში დაპატიმრებით სამიდან ექვს თვემდე.

მართალი გითხრათ, არ ვიცი ეხლა როგორ მოვიქცე. საქმე იმაში გახლავთ, უმთავრესი მუხლი მიღებული გაქვთ, რომ მას ეძლევა უფლება აქტიური და პასიური არჩევნებისა, ეს დამატება კი რომ მივიღოთ, ეს ეწინააღმდეგება ძირითად მუხლს. შესწორება, რომ ისე ყოფილიყო წარმოდგენილი, რომ ეს შეჰბეჭდოდა ადმინისტრაციის იმ პირთ, რომელთაც დაკისრებული აქვთ არჩევნების დროს წესიერების დაცვა ეს სხვა იქნებოდა.

კომისიის აზრიც ისეთი იყო, რომ ადმინისტრაციის იმ მოსამსახურეთ, რომელთაც დავალებული აქვთ წესრიგას დაცვა, აკრძალული აქვთ საარჩევნო ბიულეტენების დარიგება და პროპაგანდის გაწევა.

ეს შესწორება, რომ ასეთი ყოფილიყო, მაშინ ჩვენის აზრით, შეიძლებოდა, რომ მიგვეღო, მაგრამ ეს ძირითადად ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც უკვე მიიღო პარლამენტმა.

ამიტომ მე ამას ურჩვიმ.

თავმჯდომარე. ნება მომეცით კენჭი უყარო იმ შესწორებას, რომელიც შემოიტანა. ბ. მიქელაძემ. ვინ არის წინააღმდეგი? ეს შესწორება უარყოფილია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესოების მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიების შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 102. ვინც უწესობით, დაშინებით, ან შიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამრჩეველთა ნაწილს ისარგებლოს საარჩევნო უფლებით,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. 103. ვინც წინასწარ აგიტაციას გასწევს იმ შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს, ან და წესიერებას დაარღვევს არჩევნების წარმოების დროს, ან არ დაემორჩილება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებას დასტოოვს საარჩევნო შენობა,—დაისჯება დატუსაღებით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებული გისლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 140. ვინც ამრჩეველს გადაიბირებს დაპირებით, მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადის, ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით, თუ მიიღებს მონაწილეობას დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსალოში დაპატიმრებით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ მიზნით.

თავმჯდომარე. ვინ სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს). 105. ვინც გაუმასპინძლდება ამომრჩეველს იმ მიზნით, რომ დამფუძნებელ კრებაში არჩევნების დროს ხმა მიაცემინოს თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ,—დაისჯება დატუსაღებით.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს). 106. ვინც იცოდა, რომ მას საარჩევნო ხმა არა აქვს ან უკვე დაჯარჯა იგი და მაინც მისცა ხმა დამფუძნებელ კრების არჩევნებზე,—დაისჯება დატუსაღებით.

ასეთივე სასჯელით დაისჯება, ვინც დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ხმას მისცემს, ერთხელ მეტს თუნდაც სხვა და სხვა საარჩევნო უბანში ან და სხვას მაგიერ, თუნდაც მისას თხოვნით.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლიმთათიძე (კითხულობს). 107. ვინც განზრახ გადაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოჭვეყნების დროს, ან და განზრახ გაფფუჭებს ან მოიტანებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალით (подложно) ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შესცვლის საარჩევნო წარმოებას,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩაგზავნილი არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დასჯება.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმთათიძე. (კითხულობს) 108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამო-

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოების დამფუძნებელ კრების არჩევნებში,— დაისჯება დატუსაღებით.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 109. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ ან საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკ სასჯელს არ მოელის,—დაისჯება დატუსაღებით.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 110. სასამართლოს უფლება ეძლევა, გარდა ზემოაღნიშნულ სასჯელთა, დამნაშავეს მიუსაჯოს:

1) თუ მის ჩაუდენია მოქმედებანი, აღნიშნული მე-94, 96, 98, 101, 102, 105, 106 და 107-ე მუხლებში, საკანონმდებლო დაწესებულებებსა და თვითმართველობის ორგანოებში საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ვადით ხუთ წლამდე განაჩენის გამოქვეყნებით;

2) თუ ჩაუდენია მოქმედებანი, აღნიშნული მე-95, 101, 105, 106, და 108-ე მუხლებში, ფულის გადახდევინება არა უმეტეს სამი ათასი მანეთისა;

3) თუ ჩაუდენია მოქმედებანი, აღნიშნული მე-94, 97, 98, 101, 105, 106 და 110-ე მუხლებში, ან თუ დამნაშავე თანამდებობის პირია,—სამსახურიდან გაძევება.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 111. ამ (IX) თავში მოყვანილ დადგენილებებს შეეხება 1903 წ. 22 მარტის სისლის სამართლის დებულების პირველი თავი (კან. კრებ. ტ. XV გამოც. 1909 წ.)

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 112. (IX) თავში აღნუსხულ დანაშაულთა შესახებ საჩივრის აღძვრის უფლება ეკუთვნის თვითეულ მოქალაქეს, ვისაც დამფუძნებელ კრებაში არჩევნების უფლება აქვს. ამ შემთხვევაში მას შეუძლია საჩივლოს ვითარცა დაზარალებულმა (потерпѣвшій).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 113. ამ პირთა წინააღმდეგ საქმის აღძვრა (преслѣдованіе), რომელთაც მე-93—94, 100, 104 და 109-ე მუხლებში აღნიშნულ მოქმედებანი ჩაუდენიათ, შეიძლება მხოლოდ სამის თვის განმავლობაში არჩევნების გათავების შემდეგ. ამ (IX) თავში აღნიშნულ დანარჩენ მოქმედებაში დამნაშავეთა წინააღმდეგ კი ექვსი თვის განმავლობაში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) 114. ამ (IX) თავში აღნიშნულ დანაშაულობითი მოქმედების საქმეებს, რომელთათვისაც დადგენილია სტუსაღო, ან უფრო მკაცრი სასჯელი, არჩევს საოლქო სასამართლო ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით დანარჩენ საქმეებს კი—მომრიგებელი მოსამართლენი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ლიმბოთიძე (კითხულობს). **თავი X. დამფუძნებელ კრების არჩევნებ**ზე გაწეული ხარჯები. ამმარჩევლებს არ მიეცემათ გასამრჯელო არც დროის დაკარგვისათვის, არც თავის გამოსაკვებად გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად და არც საგზაო ხარჯის დასაფარავად.

თავმჯდომარე. ვის ჰურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმბოთიძე. (კითხულობს) 116. ქალაქებში საარჩევნო სიების შედგენისათვის გაწეულ ხარჯებს გაიღებს ქალაქის თვითმართველობანი სხვაგან— რესპუბლიკის ხაზინა. ქალაქების მიერ ამ საქმისათვის გაწეულ ხარჯიდან რესპუბლიკის ხაზინა სამოცდახუთმეტ პროცენტს იხდის.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმბოთიძე. (კითხულობს) 117. საარჩევნო კომისიების საქმეების წარმოების სახარჯოთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილებით მიეცემა ცალკე ფული იმ თანხიდან, რომელიც რესპუბლიკის ხაზინიდან ეროვნულ საბჭოს მიერ გადადებულ იქნება დამფუძნებელ კრების არჩევნების საწარმოებლად.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლიმბოთიძე. (კითხულობს) 118. ყველა საარჩევნო კომისიების წევრებს გასამჯელო ეძლევათ დღიურის და საზოგადო ფულის სახით, როცა ისინი არჩევნების საქმეების გამო გაიგზავნებიან.

ამ (118) მუხ. აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება იმათზე, ვინც კომისიაში საკანდიდატო სიის წარმომადგენელია.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ? მუხლი მიღებულია გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ ლიმბოთიძე. (კითხულობს). 119. საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო შენობების მოსაწყობი, გასათბობი და გასანათებელი ხარჯები ეკისრებათ ქალაქად საქალაქო თვითმართველობათ, სოფლად რესპუბლიკის ხაზინას.

თავმჯდომარე. შემდეგ.

ალ. ლიმბოთიძე. მეტი აღარ გახლავთ. დებულება ამოწურულია.

თავმჯდომარე. ახლა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

ალ. ლიმბოთიძე. ხარჯთ-აღრიცხვა და განმარტება დადიხანა კომისიამ უკვე დაურიგა ფრაქციებს.

მე მგონია ფრაქციებს უკვე აქვთ გაცნობილი, ამიტომ ხელა მომეცით პირდაპირ გადავიდეთ შტატებზე. ეს ხარჯთ-აღრიცხვა გადაცემული გვაქვს, როგორც მოგახსენეთ პირველ მოხსენებაში საფინანსო საბიუჯეტო კომისიის.

საფინანსო კომისიამ არა თუ დადასტურა, არამედ გადიდა თითქმის ნახევარ მილიონამდე საერთო თანხა რომელიც ნავარაუდევი ჰქონდა კომისიას, კომისიას ჰქონდა 3 მილიონი 588 ათასი მანეთი, საფინანსო კომისიამ 4 მილიონამდე ... ყვანა ეს თანხა. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს შტატები შემუშავებული იყო, ჯერ კიდევ გასულ ივლისის პირველ რიცხვებამდე. მას შემდეგ ცხოვრება იმდენად გაძვირდა, რომ ადვილად შესაძლებელია კომისიას რამდენიმე ხნის განმავლობაში დაეჯახოს სხვა და სხვაგვარ დაბრკოლებებს. მაგალითად: ოზმა ქაღალდი მაშინ ღირდა 40 მანეთი, ددეს კი ოზმა ქაღალდის ფასი არის 75 მ. ჩვენ ნავარაუდევი გვქონდა მშრომელს მივცემთ 15 თუმანი, მაშინ, როდესაც ددეს 25 თუმანზე ნაკლებად ვერ მოიწევენ, ამაზე ნაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებ არავინ მუშაობს, ასე, რომ ყოველ შემთხვევაში, მე მინდა განვაცხადო, რომ ადვილი შესაძლებელია ამ ხარჯთ-აღრიცხვას ექნეს ერთგვარი დროებითი ხასიათი და კომისია იძულებული გახდეს რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც პრაქტიკულად ცხოვრებაში განხორციელებას შეუდგებით პარლამენტის წინაშე დამატება წარმოადგინოს. მე საპირიდან მიმაჩნია პარლამენტის საყურადღებოდ განვაცხადო, ეს. ნება მიბოძეთ წაიკითხო ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც მოგახსენეთ ოთხი საფეხურია კომისიებისა: ცენტრალური კომისია, საოლქო და სამაზრო და სასოფლო. კომისიის შტატებიც ასეთი გახლავს. (მიმართავს თავმჯდომარეს) როგორ მიბრძანებთ სულ ერთად წავიკითხო თუ ნაწილ-ნაწილად?

თავმჯდომარე. გთხოვთ წაიკითხოთ ერთათ.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს)

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დაწესებულებათა შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა.

ცენტრალურ კომისიის კანცელარია 1.

საქმის-მწარმოებელი 1, თვიური ჯამაგირი 750 მან.

ანგარიშის მწარმოებელი 1, თვიური ჯამაგირი 600 მ.

ეკზეკუტორი 1, თვიური ჯამაგირი 500 მან.

მწერალი 3, თითოს თვეში 400 მან.

მსახური—ჯამაგირი თვეში 300 მან.

ყველას თვეში 3350 მან.

ოთხ თვეში ყველას 13400 მან.

ზაქათალის ოლქის კომისიის კანცელარია 1.

საქმის მწარმოებელი ერთი, თვეში ჯამაგირი 500 მან.

ანგარიშის მწარმოებელი ერთი, თვეში ჯამაგირი 400 მან.

ეკზეკუტორი 1, თვეში ჯამაგირი 300 მან.

მწერალი 2, თითოს თვეში 250 მან.

მსახური 1, თვეში ჯამაგირი 100 მან. თვეში ყველას 1800 მან. ოთხ თვეში ყველას 7200 მან.

სამაზრო კომისიის კანცელარია 16.

საქმის მწარმოებელი ერთი, თვეში ჯამაგირი 300 მან. თითოს.

ანგარიშის მწარმოებელი ერთი, ჯამაგირი თვეში 300 მან.

ეკზეკუტორი ერთი, ჯამაგირი თვეში 200 მან.

მწერალი ორი, ჯამაგირი თითოს თვეში 200 მან.

მსახური ერთი, ჯამაგირი თვეში 100 მან.

სულ ყველას თვეში 20,800 მან.

ოთხ თვეში ყველას 83,200 მან.

სოფლის საზოგადოების კომისიის კანცელარია 562.

საქმის მწარმოებელი ერთი, ჯამაგირი თვეში 150 მან.

ეკზეკუტორი ერთი, ჯამაგირი თვეში 150 მან.

ყველას თვეში 168,600 მან.

ყველას ოთხ თვეში 674,400 მან.

სოფლის წვრილი ერთეულების კომისიის კანცელარია 1893.

მდივანი, იგივე ანგარიშის მწარმოებელი ერთი, ჯამაგირი თვეში 100 მან.

ყველას თვეში 189300 მან.

ოთხ თვეში ყველას 757,200 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქტორები საგუბერნიო ქქესი, ჯამაგირი თვეში 300 მან.
მიმოსვლის ხარჯები თვეში ყველას 9600 მ. ოთხ თვეში ყველას 38,400 მ.
სამაზრო ინსტრუქტორები—ორმოცდა ორი.
თითოს ჯამაგირი თვეში 200 მან.
მიმოსვლის ხარჯები 500 მან. ყველას თვეში 4200 მან.
ოთხ თვეში 163000 მან.
საარჩევნო კომისიის საკანცელარიო მასალები.
ცენტრალურ კომისიის ერთი. თვეში 250 მან.
საოლქო ზაქათალის კომისიის კანცელარიის თვიური ხარჯი 200 მან.
სამაზრო კომისიები თექვსმეტი, თითო კანცელარიას თვეში 150 მან.
ხიფლის საზოგადოებათა კომისიის კანცელარია 562. თითოს თვეში 100 მ.
ხიფლის წვრილი ერთეულების კანცელარია 1892. თითოს თვეში 50 მ.
ყველას თვეში 158,700 მ. ოთხ თვეში 614,800 მ.

საქმე იმაშია, რომ აუცილებელი საჭირო იქნება, რომ საწყობები გაიჩინოს ცენტრალურმა კომისიამ ქაღალდების შესანახად. უნდა მოგახსენოთ, რომ არის დიდძალი კონვერტები ძველი არჩევნების დროისა, ეს ინახება იმ საწყობებში დღემდის და ამისთვის ფასსაც იხდიან. თავის თავად ცხადია, რომ ეს გაწეული ხარჯი უნდა გადავიხადოთ, სანამ ეს საწყობები იქნება საჭირო. ცენტრალურ კომისიის საწყობის ბინის ქირისათვის საფინანსო კომისიის მიერ გადადებულია 100 მ. თვეში. ოთხ თვეში 400 მან.

არჩევნებისათვის საჭირო მასალის ხარჯთ-აღრიცხვა.

აღწერითი ფურცლები 50167 მანეთისა, საარჩევნო ბარათები 325,561 მანეთი სა, პირადობის ბარათები ქალაქში მცხოვრებთათვის 12609 მანეთისა, კონვერტები 44301 მანეთისა. პირადი ბარათების, კონვერტების გაგზავნა ქალაქსა და პროვინციაში—76000 მანეთი, საარჩევნო ყუთები 7000 მ. ამწერლებს: სოფლად—396,400 მან. ქალაქად 56280 მ. საარჩევნო მასალის და სიების უკან დაბრუნება—33000 მან. არჩევნების დებულების, ინსტრუქციების და სხვა ბლანკების დაბეჭდვა 7270 მ. მოულოდნელი ხარჯები 629412 მან. სულ—4000000 მან.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ? მე კენჭს ვყრი. ვინ არის წინააღმდეგი? სიტყვა ეკუთვნის იასონ ლოთქიფანიძეს.

იასონ ლოთქიფანიძე. (ეს.-დემ.) ეს კანონ-პროექტი საფინანსო კომისიამ უკვე მიიღო, მხოლოდ სურვილი გამოაცხადა, რომ ამ კანონ-პროექტის შტატებში შეტანილი იყოს, რომ იმ მოსამსახურეთ, რომელიც იქნებიან მოწვეულნი ამ არჩევნების დროს მონაწილეობის მისაღებად სალიკვიდაციო ხარჯები არ მიეცეთ, თორემ 4 მილიონნი კიდევ დაგვჭირდება. იმიტომ, რომ 4 კვირაც რომ იმუშაონ ამ ხნის მუშაობაშიც სალიკვიდაციო ხარჯებს მოითხოვენ, თუ კანონში იქნება აღნიშნული· რომ სალიკვიდაციო ხარჯები არ მიეცემათ, მაშინ ეცოდინებათ, რომ სალიკვიდაციოს არ მიიღებენ და არც მოითხოვენ.

რომ ხარჯი არ გადიდდეს წინადადება შემომაქვს, რომ კანონში იყოს აღნიშნული; მოწვეულ მოსამსახურეთ და იმ პირთ, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ამ კომისიაში, სალიკვიდაციო ხარჯები არ მიეცემათ.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ წინადადების შესახებ?

ალ. ლომთათიძე. სრული ეჭვშეარიტება გახლავთ და ისედაც დაინახავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტი, რომ დიდი ხელმომჭირნეობით არის შედგენილი შტატები და მინუხედავად ამისა, როგორც მოგახსენეთ 4 მილიონი არ გვეყოფა, თუ ჩვენ სალიკვიდაციოც დაუმატეთ, მაშინ ჩვენი ხაზინა ამას მოუწევდა».

მართალია, ასეთი დადგენილება ჭქონდა პირველად კომისიას, მე პირადად გადმომაქვს ეს. მაგრამ ოფიციალური დადგენილება არ მოახდინა ჩვენმა კომისიამ და მე მგონია, რომ სრულიად სავალდებული არ არის კანონში ამბის აღნიშნვნა, საკმარისია, რომ კომისია, რომელიც მოიწვევს ამა თუ იმ მოსამსახურეს, ესთქვათ, ინსტრუქტორებს, გამოუცხადოს შემდეგი: თქვენ გიქნებათ შემდეგი პირობები, 300 მანეთი ძირითადი ჯამაგირი, მერე ათასი საგზაო და თხუთმეტი მანეთი დღიური და ეს გამოანგარიშებული იქნება იმ რამდენიმე დროისთვის, რამდენიც გიმსახურნიათ და მეტს ვერ მიიღებთ. ასეთია პირობები.

შეიძლება ქალაღდი იყოს და ხელი მოაწერეს—როგორც. მაგალითად, საქალაქო არჩევნების დროს პირობებს ადგენენ ხოლმე, შეიძლება ყველას წინასწარ გამოეცხადოს, რომ მხოლოდ ამ პირობებით იმუშავებენ და მეტს გროშ კაპეიკს ვერ მიიღებენ.

თავმჯდომარე. წენინშენა არის შემოტანილი, რომ იმ პირთ, რომელნიც მოწვეულნი იქნებიან კომისიაში სამუშაოდ სალიკვიდაციო ხარჯი არ მიეცეთ მომხსენებელი უარს არ ჰყოფს ამ შესწორებაზე, მაგრამ არ მიაჩნია საჭირდ რომ ასეთი შესწორება იყოს კანონში შეტანილი. ნება მომეცით კენჭი უყაროთ?

მაშასადამე ეს წინადადება გახლავთ მიღებული.

ამნაირად კამათი კანონ-პროექტის შესახებ სავსებით გათავდა.

ალ. ლიმთათიძე. უკაცრავად, არის მცირეოდენი საკითხი. ეს გახლავთ ნიმუში ბლანკებისა, აღწერილობისა, ნავარაუდევია აი ამნაირად: ერთ მხარეზე იქნება დაწერილი: საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია და მეორე მხარეს:—დამფუძნებელ კრების ამომარჩევლთა აღწერილობის ფურცელი, ამ ფურცელზე უნდა ყოველი წევრი ოჯახისა—შემდეგ ამ გრაფებში (კითხულობს) უნდა აღინიშნოს წლოვანება, ეროვნება, საარწმუნოება იცის თუ არა წერა კითხვა, რა სწავლა აქვს გათავებული, ხელობა და უკანასკნელ გრაფში: სად იყო მიწერილი 1914 წ. ივლისის 19 ძველი სტილით, რაც ფრიად საინტერესოა. აქ სხვათა შორის შეიძლება ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიოს. შემდეგ კითხვებმა: იცის თუ არა წერა კითხვა, და რა სწავლა აქვს მიღებული. მაგრამ ეს საჭიროა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი სტატისტიკური ცნობები მივიღოთ იმის შესახებ, თუ რამდენმა იცის წერა-კითხვა, რამდენმა გათავა უმაღლესი, საშუალო, თუ სხვა სასწავლებელი. შემდეგ რა პროფესიისაა: უკანასკნელ გრაფში გვაქვს, სად არის მიწერილი. ამის შესახებ თვით დებულებაში, როგორც მოგეხსენებათ, საგანგებო ბუნდოვ გვაქვს. აი ასე გახლავს ეს ბლანკები და თუ პარლამენტი რაიმე შესწორებას შეიტანს ან განმარტებას—ეს პარლამენტის საქმეა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ეს ნიმუში მიღებულია.

ალ. ლიმთათიძე. ეხლა, თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვაც უნდა ვსთქვა.

საქმე იმაში გახლავთ ბატონებო, რომ, როგორც დაინახავდით დებულებაში არ არის ის ნაწილი, რომელიც უნდა შეადგენდეს მეორე ნაწილის სამუშაოსას. და რომელიც კომი იამ უნდა გაატაროს.

თავის თავად ცხადია, თუ დებულების განმარტებებს და ინსტრუქციებს არ გაგზავნით სოფლებში, ისე არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ჩვენ გვგონია, რაკი დამფუძეებელ კრების მოწვევა საჭმაოოა, და რომ ეს საჭმაოოა, მე მგონი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას არავინ უარჰყოფს, შეიძლება, რომ ამ ინსტრუქციის დამუშავება და ცხოვრებაში გატარება დაეკისროს ცენტრალურ კომისიას. ეს თუ გნებავთ იქნება ტეხნიკური საკითხი და არა პრინციპიალური. ინსტრუქცია ასეთი გახლავთ, განმარტება მაგალითად. ასეთი გახლავთ პირველ მუხლში და მეთორმეტე მუხლში. როგორ უნდა მოახდინოს აღწერილობა, როგორ უნდა მოვიდეს, რა საბუთი უნდა მოსთხოვოს და სხვა. ასე, რომ ინსტრუქციას იქნება მხოლოდ ტეხნიკური და ერთგვარი განმარტებითი ხასიათი. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ჩვენ ისტორია უკვე მცირე გამოცდილებას გვაძლევს, ორი თვეა ვერ მიახწია ამ დებულებამ პარლამენტამდის, იმიტომ, რომ სხვა ბევრი სიპატიო საკითხი იყო წარმოდგენილი. ამიტომ ამ დებულებას ვერ მიუბრუნდა პარლამენტი. მე ძალიან ვშიშობ, თუ კომისიაც იზიარებს ამ აზრს, ვაი თუ, ამ ინსტრუქციასაც ასეთივე ბედი ეწიოს, შეიძლება რამდენიმე კვირა და კიდევაც მეტი გაქაჩანურდეს, პარლამენტს ვერ დაუბრუნდეს ეს ინსტრუქციები და საქმე შეფერხდეს.

კომისიის აზრი ასეთი გახლავთ, რომ მეს შესაძლებლად მიაჩნია ამ ინსტრუქციის დამუშავება და პირდაპირ ცხოვრებაში გატარება პარლამენტმა მიანდოს ცენტრალურ კომისიას.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნება, რომ პარლამენტმა თუ ამის წინადადებაზე, არავინ არ არის—მიანდოს. ცენტრალურ კომისიას ამ ინსტრუქციების შემუშავება და ცხოვრებაში გატარება.

თავმჯდომარე. ჯერ ნება მიბოძეთ საერთოდ კანონ-პროექტს უყარო კენჭვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. რაც შეეხება ამ უკანასკნელ წინადადებას ვნებავთ თქვენ ხლავ იქონიოთ ამაზედ მსჯელობა თუ მომავალ კრებაზე? (კედია: ეხლავე შეიძლება).

რაჟდენ არსენიძე (ს.-დ.) მე მგონი, რომ როდესაც ავირ ჩვენ ცენტრალურ კომისიას, მაშინ ვიმსჯელოთ მის მოვალეობაზედ და ეს უფრო კანონიერი იქნება, დღეს კი ეს დღიურ წესრიგში არ არის, ამიტომ არც მსჯელობა უნდა ვიქონიოთ.

თავმჯდომარე. მ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ახალი წინადადება გახლავთ, და მე მგონი, უფრო ხელსაყრელი იქნება მსჯელობა გადაადოთ იმ დროისთვისაც როგორც მოგახსენათ ბ. არსენიძემ.

შემდეგი კანონ-პროექტის მომხსენებელი გახლავთ ბ. შარაშიძე.

კანონ-პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო —გადასახადისა-

დავით შარაშიძე. ბატონებო, ის შემოსავალი, რომელიც საბაჟოებიდან შემოდის სახელმწიფოში, შეადგენს წმინდა გადასახადებს, წმინდა საბაჟო გადასახადებს, მგრამ ამის გარდა წმინდა ბაჟის გარდა საბაჟოები ახდევინებენ წვრილმან გადასახადებს, როგორც მაგალითად, არის საწყობების გადასახადი, ამ წვრილ გადასახადების რიცხვში არის აგრეთვე საკანცელარიო გადასახადები. ამ უკანასკნელ დარგის გადასახადებით ნახელმწიფო, ესე ვსთქვათ, ანაზღაურებს იმ ხარჯს, რომელიც უნდა გასწიოს იმ მრავალ დოკუმენტებისთვის, რომელიც საჭირო არის საქონლის დაბაჟვის დროს. სწორედ ამ საბაჟო საკანცელარიო გადასახადების გადიდებას შეეხება ეს კანონ-პროექტი.

ეს კანონ-პროექტი გამოწვეულია, რა თქმა უნდა, იმ მოვლენით, რომ ძალიან გაძვირდა ამ უკანასკნელ თვეებში საკანცელარიო ნივთების ღირებულება. აქ არის განზრ-ხული ხუთჯერ გადიდება არსებულ გადასახადებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპი გადასახადებისა ორნაირი არის.

ზოგიერთ დოკუმენტებზე, როგორიც არის მაგალითად შემოსატან თუ გასატან საქონლის სია, საბაჟო გადასახადებ.ს გადიდება ხდება თანხის მიხედვით, თანხის რაოდენობით, სხვა შემთხვევაში გადასახადი გადიდდება სათანადო დოკუმენტებზე.

პირველ შემთხვევაში გადასახადი უნდა გადიდდეს ხუთჯერ, თუ მაგალითად ეს მანეთზე იხდიდნენ თითო აბაზს, ეხლა უნდა გ.ბდიხადონ თითო მანეთი (ბიმართავს თავმჯდომარეს).

თუ ნებას მომ.ცემთ მე წავიკითხავ კანონ-პროექტს.

თავმჯდ.�მარე. ვის ნებავს სიტყვა ამ კანონ-პროექტის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ ამ კანონ-პროექტის განხილვაზე? არავინ. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

დ. შარაშიძე. (კითხულობს პირველ მუხლს). **კანონ-პროექტი საბაჟო დაწესებულებაში საკანცელარიო გადასახადისა.**

საბაჟოები ყოველ საუთების შედგენაში და დაწერაში, როგორც არის გადასატანი მოწმობა, იარლიკები, წერილობითი განცხადება, გასატანი დასახედავი სია, კვიტანცია და სხვა ამ გვარი საბუთები, ახდენენ ცალკე საკანცელარიო გადასახადს რომელიც გადახდილ უნდა იქნას ამ დოკუმენტების შედგენის და დაწერისთანავე, ანდა ბაჟის შეტანის დროს გადასახადებისათვის დაწესდეს შემდეგი ნუხაა:

I. ყოველ წერილობითი განცხადებაში, საქონლის სიაში და გასატან სიაში გადახდება ყოველ ასს მანეთზე 1 მან.

შენიშვნა: ყოველ არა სრულ ასეულ მანეთზე იხდევინება 1 მან.

თავმჯდ.�.მარე. ვის ნებავს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? კენჭს უყრი. მიღებულია.

გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

დ. შარაშიძე. (კითხულობს). 2. გასატან მოწმობაში, თუ გასატანი საქონელი განთავისუფლებულია ბაჟისაგან, ყოველ 1000 მან. განცხიდებულ საქონლის ფასში გადახდება 1 მან

თავმჯდ.ременმარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

დ. შარაშიძე. (კითხულობს). 3. ყოველ იარლიკში და წერილობითი ბმანებაში, რომლითაც საქონელი გაიშვება საწყობიდან, ანდა გადასატანი მოწმობაში და იარლიკში, რომელიც საქონლის გადასატანად ეძლევა გადაჰხდება 75 კაპ.

თავმჯ.ременმარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

დ. შარაშიძე. (კითხულობს). 4. ყოველ კვიტანციაში ბაჟისა და სხვა რაიმე გადასახადისა გადახდება 75 კ.

თავმჯ.ременმარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

დ. შარაშიძე. (კითხულობს) 5. ყოველ ქაღალდის პირში (კოპიოში) კერძო პირთ და საზოგადოებათ გადახდებათ თითო გვერდზედ, რომელიც უნდა შეიცავდეს არა უმეტეს 25 სტრიქონისა 1 მან.

თავმჯ.ременმარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. შარაშიძე. (კითხულობს) **შენიშვნა:** ყოველი საბუთი, დასახელებული 1, 3 და მე 4-ე მუხლებში, თუ ბაჟი საქონელზე 15 მანეთზე ნაკლებია, განთავისუფლებულია საკანცელარიო გადასახადისაგან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია.

ვინ არის წინააღმდეგი, რომ საერთოთ კანონ-პროექტი მივიღოთ? კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. შემდეგ კანონ-პროექტის მომხსენებელი ინიაშვილია.

კანონ-პროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთა-ღრიცხვისა.

დავით ინიაშვილი. ჩემი მოხსენება, საბჭოს წევრნო, შეეხესა საგარეო საქმეთა სამინისტროს შტატებს და ხარჯთ-აღრიცხვას.

კანონ პროექტი შესდგება სულ ორი მუხლისაგან, მაგრამ ვიდრე ამ კანონ-პროექტს წვიკითხავდე, მე მინდა ორიოდე სიტყვა გამოვსთქვა საზოგადო ხასიათის მოსაზრებისა.

საქმე იმაშია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო დაარსდა იმ დღიდან, რა დღესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ესე იგი 26 მაისს. საქმე იმაშია, რომ სხვა უწყებებს ჰქონდა თავისი ტრადიციები, თავისი წარსული და იმითი მუშაობა,-ესე ვსთქვათ, მომზადებული იყო ჯერ კიდევ ძველ წესწყობილების დროს. შექმნილი იყო ერთგვარი აპარატი და აი ამ გვარად მოწესრიგებული იყო საქმე. მაგრამ აი ამ დარგში, ამ საგარეო საქმეთა უწყებას მოუხდა მუშაობა სრულიად ხელახლად, რადგან არავითარი წარსული პრეცედენტები არ ყოფილა ამ მუშაობის დარგში. საგარეო სამინისტროს უწყებას არავითარი შემოსავალი არა აქვს, ერთთან ერთი შემოსავლის წყარო ამ უწყებისა არის თავისრობა, ესე იგი სახელმწიფო ხაზინა და ამ ხაზინის შემოსავალზე ემყარება მთელი უწყების ხარჯთ აღრიცხვა.

აი ამ საათში წარმოგიდგენთ მე თქვენ ამ ხარჯთ-აღრიცხვას და პარლამენტი, რასაკვირველია, ან მიიღებს, ან უარყოფს ამ ხარჯთ-აღრიცხვას. ვიტყვი მხოლოდ, რომ საგარეო სამინისტროს მუშაობა დღითი-დღეს ფართოვდება, დღიდან დღით ძლიერდება, ვინაიდან საქართველოს ამ ბოლო დროს უხდება საქმის დაჭერა, დიპლომატიურ კავშირის დაჭერა იმ სახელმწიფოებთან, რომელთანაც აქამდის არ ჰქონდა მოლაპარაკება. თქვენ კარგათ იცით, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს რამდენიმე ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა. უეჭველია ჩვენ მთავრობას და საგარეო საქმეთა უწყებას დასჭირდება კიდევ ხარჯთა გაღება, რომ ყოველს თავისი ელჩები, თავის წარმომადგენლები რამდენიმე ადგილას, მაგალითად რუსეთში, ბაქოში, უკრაინაში, გერმანიაში. საკართველოს მთავრობა გერმანიაში ჰყავს უკვე თავისი ელჩი, უეჭველია ახლა სხვაგანაც გაგზავნის ელჩებს და დასჭირდება მუდმივი დიპლომატიური კავშირი. რომელიც საჭირო არის ყოველ სახელმწიფოსთვის და აგრეთვე მაშასადამე, საქართველოსთვის. რასაკვირველია თუ ჩვენ საგარეო საქმეთა უწყებას ამ მუშაობაში არ შეუწყობთ ხელს, თუ პარლამენტი არ გაიღებს ხარჯს, მაშინ ჩვენ ჩავაყენებთ ჩვენს მთავრობას ისეთ პირობებში, რომ მისი მუშაობა და დიპლომატიური დამოკიდებულება სხვა და სხვა სახელმწიფოებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად ძნელი შეიქმნება და ეს ერთგვარი შემაფერხებელი მიზეზი იქნება ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის მოწყობის საქმეში.

მე გადავდივარ ხარჯთ-აღრიცხვაზე, რომელიც მე ახლა წარმოვადგენ. აი, ასეთია კანონ-პროექტი. (კითხულობს).

კანონ-პროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წ. ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონით დართული გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინის თანხიდან ამ კანონის 1 მუხლ. აღნიშნული ხარჯებისთვის 497550 მ. შემდეგის განაწილებით: 1. შტატების შესანახად 102550 მ. 2. საკანცელარიო ხარჯებისთვის 7000 მ.

3. ბინის დასაქირავებლად 6000 მ.

4. გათბობა და სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის 7000 მ.

5. უცხო სახელმწიფოთ წარმომადგენლების მისაღებათ 150.000 მ.

6. საქართველოს წარმომადგენელთა შესანახავად 125000 მ. და

7. მინისტრის განკარგულებაში 100000 მან.

აი ეს არის კანონ-პროექტი, რომელიც შესდგება ორი მუხლიდან. შემდეგ არის ხარჯთ-აღრიცხვა. (კითხულობს ხარჯთ-აღრიცხვას).

მინისტრი 1—წლიური ჯამაგირი 18000 მ. მისი ამხანაგი 1—წლიური ჯამაგირი 16200 მ. კანცელარიის დირექტორი 1—წლიური ჯამაგირი 1200 მ. 1—ივნისიდან წლის დამლევამდე 7000 მ.

მისი თანაშემწე 1—წლიური ჯამაგირი 10800 მ. 1—ივნისიდან წლის დამლევამდე 6300 მ.

მინისტრის მდივანი 1—წლიური ჯამაგირი 7200 მ. 1—ივნისიდან წლის დამლევამდე 4200 მ.

ადიუტანტი 1—წლიური ჯამაგირი 7200 მ. ივნისის 1-დან წლის დამლევამდე 4200 მ. 5. საქმის მწარმოებელი—2 წლიური ჯამაგირი თითოს 7200 მ ივნისის 1-დან 5 წლის დამლევამდე 8400 მ. მისი თანაშემწე 3—წლიური ჯამაგირი თითოთ 5400 მ. ივნისის პირველიდან წლის დამლევამდე 9450 მ.

თარჯიმანი უფროსი 1—წლიური ჯამაგირი 12000 მ. ივნისის პირველიდან წლის დამლევამდე—7000 მ.

თარჯიმანი უმცროსი 2—წლიური ჯამაგირი თითოს 9600 მ. წლის დამლევამდე ივნისის 1-დან—11200 მ.

ბუჰალტერი 1—წლიური ჯამაგირი 72000 მ. ივნისის პირველიდან წლის დამლევამდე 4200 მ.

მანქანიო გადამწერი 4—წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. ივნისის 1-დან წლის დამლევამდე 11200 მ. გადამწერი 4—წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. ივნისის პირველიდან წლის დამლევამდე 11200 მ.

რეგისტრატორი 1—წლიური ჯამაგირი 4800 მ. ივნისის 1-დან წლის დამლევამდე 2800 მ.

მეტელეგონე 1—წლიური ჯამაგირი 4800 მ. ივნისის 1-დან წლის დამლევამდე 2800 მ.

შაკრიკი 6—წლიური ჯამაგირი თვითეულს წლიურად 3600 მ. ივნისის 1-დან წლის დამლევამდე 12600 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამი წლიურად ყველას 175800 ოვნისის პირველიდან წლის დამლეგამდე 102550 მ.

შემდეგ არის დამატება. (კითხულობს დამატებას). საკანცელარით ხარჯი 7000 მ. ბინის ქირა 6000 მ. განაეთება და სხვა სასრაფო ხარჯები 7000 მ. უცხო სახელმწიფოთ წარმომადგენელების მიღება 150000 მ. საქართველოს წარმომადგენელთა შენახვა 125000 მ.

მინისტრის განკარგულებაში 100,000 მან. სულ 395,000 მან. მთელი ჯამი 497550 მან. ეს არის ჯამი.

თავმჯდომარე. ეხლა უკვე არის სამი საათი. გნებავთ განაგრძოთ სხდომა? (ხმები: „განვაგრძოთ“) კრება გრძელდება. სიტყვა ეკუთვნის ფაღავას.

აკაკი ფაღავა (ს. ფ.) სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციისთვის, რასაკვირველია, მისაღები არის ეს კანონ-პროექტი, მაგრამ ჩვენ შეგვაქვს მცირე შესწორება ერთ მუხლში, ჩვენ სახელმწიფოს წარმომადგენელთა რომ იგი ხარჯი შესანახავად გადადებულია 125 ათასი მანეთი. ჩვენ ვიცით, რომ ეს კანონ-პროექტი შედგენილი არის იმ დროს, როდესაც ძალიან ცოტა წარმომადგენელნი გვყავდნენ. დღეს კი გარემობა შეიცვალა და ეს ხარჯი ... შეეფერება სინამდვილეს.

ამიტომ ჩვენი ფრაქცია გამოსთქვამს სურვილს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ საანგარიშო ცალკე ხარჯთ-აღრიცხვა წარმოადგინოს ჩვენი საელჩოებისათვის.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? გთხოვთ წაიკითხოთ მუხლობრივ.

დ. ონიაშვილი (კითხულობს) დამტკიცებულ იქნას 1918 წ. ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? ... ბოლია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

დ. ონიაშვილი (კითხულობს) II. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინის თანხიდან ამ კანონის 1 მუხ. აღნიშნული ხარჯებისათვის 497,550 მან.

შემდეგი განაწილებით: 1) შტატების შესანახავად 102,550 მან., 2) საკანცელარიო ხარჯებისათვის 7,000 მან., 3) ბინის დასაქირავებლად 6,000 მან. 4) გათბობა და სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის 7000 მან. 5) უცხო ახალი სახელმწიფოთა წარმომადგენლების მისაღებად 150,000 მან., 6) საქართველოს წარმომადგენელთა შესანახავად 125,000 მან. 7) მინისტრის განკარგულებაში ... თასა მანეთი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდება,—საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმოუდგენს პარლამენტს 28 საათშივე.

ჩვენი წინადადება არის დარჩეს ეს, როგორც არის და ვნახოთ შემდეგ რა იქნება. ეროი მესამედი უკვე დახარჯულია 8 ბარჯთ-აღრიცხვ.სა. მერე იანვრის შემდეგ საშინასტრო წარმოადგენს სხვა ნაირ ხარჯთ-აღრიცხვას.

თავმჯდომარე. გნებავთ თქვენ წინადადებას კენჭი უყარო?

აკაკი ფალავა. მე მაგის წინააღმდეგი არა ვარ.

თავმჯდომარე. მაშ კენჭს ყარი. გთხოვთ წაიკითხოთ ეს წინადადება.

დ. ონიაშვილი (კითხულობს). გარეშე საქმეთა სამინისტრომ საქართველოს წარმომადგენელთა შესანახად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა ცალკე წარმოადგინოს.

ამის წინააღმდეგი არა ვარ.

თავმჯდომარე. ყოველ შემთხვევაში, ეს არის სურვილი, თქვენ ამაზედ უარს არ ამბობთ და, მაშასადამე, ეს შესწორება არ იქნება, ეს იქნება სულ სხვა. მე კენჭს ყარი იმ წინადადებას, რომელიც არის კანონ-პროექტში. აქ ლაპარაკი არის განსაზღვრულ რიცხვზედ არა?

მომხსენებელი. დიახ!

თავმჯდომარე. უკანასკნელი მეშვიდე მუხლი მიღებულია. საერთოდ ყარი კენჭს კანონ-პროექტს. ვინ არის მომხრე? მიღებულია.

ეხლა გახლავთ წინადადება იმის შესახებ, რომ ჩვენი კრება იხსნებოდეს თორმეტ საათზე და იხურებოდეს სამ საათზე. გნებავთ ამაზედ კამათი და მსჯელობა იქონიოთ თუ არა?

როგორც მოგეხსენებათ, კრება აქამდის 11 საათზე იხსნებოდა და თავდებოდა იხურებოდა სამ‌ზედ.

ვის ნებავს ამ წინადადების შესახებ სიტყვა?

თუ არავის ნებავს მიბოძეთ ხმა კენჭი ყარო, რომ ამიერიდან სხდომა იხსნება 12 საათზედ.

აკაკი ფალავა. (ს. ფ.) მე მგონია 12 საათზე ძალიან გვიან არის, იმიტომ რომ თუ 12 საათზე დაენიშნეთ არამგონია, რომ 12 შეიკრიბნეთ. და თანახმათა ჩვენი რიგლიმენტისა თუ დანიშნულ საათის შემდეგ ნახევარ საათის განმავლობაში წევრები არ შეიკრიბნენ, კრება იხურება.

თავმჯდომარე. საბჭოს წევრი ირაკლი წერეთელი.

ირაკლი წერეთელი. (ს. დ.) ჩვენ როდესაც ეს წინადადება შემოგვქონდა, აზრად გვქონდა, რომ მოგვესპო ჩვეულებრივი წესი, როდესაც დანიშნულია კრება 11 საათზე და ფაქტიურად კი იგი იწყება 12—2.

რადგანაც ორჯერ მოხდა ისეთი ფაქტი, რომ ქვორუმის მოუსვლელობის გამო, პრეზიდიუმი იძულებული იყო დაიხურა კრება, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მომავალში აღარ უნდა განმეორდეს.

ჩვენი ფრაქცია თავის მხრივ მიიღებს ზომებს, რომ ყველა ფრაქციის წევრები დაესწრნენ სწორედ 12 საათზედ.

ჩვენ მომხრენი ვართ იმისა, რომ პრეზიდიუმმა შემდეგშიაც აწარმოოს ის პოლიტიკა, რომელსაც დადგა უკანასკნელ სხდომაზე. და თუ 12 საათზე ქვორუმი კვლავ არ გამოცხადდა, მაშინვე დაიხუროს კრება. (ხმა: თორმეტ საათზე?) დიახ, სწორედ 12 საათზე უნდა გაიხსნას კრება, თუ არ გამოცხადდა ქვორუმი უნდა დაიხუროს.

ს3. კედია. რაც გინდა ჩვენ აქ დავადგინოთ,—დაგვიანება 15 წუთით თუ $^1/_2$ საათით მაინც შეხაძლებელი არის. ამიტომ სამ საათზე კრების დახურვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტ საათზე კი დაწყება, ალბად არ იქნება სასურველი და საკმარისი პარ-ლამენტის მუშაობისათვის. ჩვენი წინადადებაა კრება იხურებოდეს ნაშუადღეა ვის 4 საათზე.

თავმჯდომარე არის ორი წინადადება შემოტანილი: ერთი დავიწყოთ 12 საათზე და დავხურ ოთ სამ საათზე. მეორე: დავიწყოთ თორმეტ საათზედ და გავათავოთ ოთხზე.

ვინ არის მომხრე, რომ დავიწყოთ თორმეტზე და გავათავოთ სამ საათ-ზე. როგორც ჩანს უმრავლესობა მომხრეა, რომ დავიწყოთ თორმეტზე და გა-ვათავოთ სამზე.

შემდეგ უნდა მოგახსენოთ, აქ მოხსენებული დღეს თხოულობდა, რომ გარკვეული იყოს, დღეს თუ არა, მომავალ სხდომაზედ მაინც, და არჩეულნი იქმნენ ცენტრალურ კომისიის წევრნი. გნებავთ დღეს ავარჩიოთ ეს წევრები, თუ ეს წევრები დავსახელოთ მომავალ კრებაზე (ხმები: სამშაბათს).

თავმჯდომარე მაშასადამე სამშაბათს, კრების დახურვის წინ, ეხლა მდი-ვანი წაიკითხავს ცნობებს კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების შესახებ.

მდივანი. (კითხულობს).

კომისიაში გადასაცემი კანონ-პროექტები.

1. კანონ-პროექტი სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციის შესახებ.

გადაეცეს აგრარულ და იურიდიულ კომისიათ.

2. კანონ-პროექტი უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევისა, დროებითი დაკავებისა და სარგებლობისა სახელმწიფო ან საზოგადო საჭიროებისათვის.

გადაეცეს აგრარულ და იურიდიულ კომისიათ.

3. ამერიკაკავკასიის ელინთა ეროვნულ საბჭოს მონაწერი, რომ საქართველ-ოში მოსახლე ელინთა წარმომადგენელთა საქართველოს პარლამენტში არ-ჩეულია **ახილეს კუნდურაძე.**

გადაეცეს სამანდატო კომისიას.

თავმჯდომარე უმორჩილესად ვთხოვ პრეზიდიუმის სახელით სამანდატო კომისიას, რომ რაც შეიძლება ეს საკითხი საჩქაროდ განიხილოს, რომ საქმე არ დაბრკოლდეს, ეს არჩევნების მომზადებისთვის საჭირო არის.

სამანდატო კომისიას ვთხოვ პრეზიდიუმის სახელით შემდეგ სხდომისთვის თავისი აზრი წარმოადგინოს.

ვთხოვ მდივანს წაიკითხოს სომხების ეროვნულ საბჭოს მოლოცვა ბრძოლა-მენტისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხების ეროვნულ საბჭოს მოლოცვა საქართველოს პარლამენტისადმი-

მდივანი. (კითხულობს) სასომხეთის საბჭომ დიდის სიამოვნებით მოისმინა 29 ოქტ. სხდომაზე თავმჯდომარის მოხსენება, რომ ის კონფლიქტი, რომელიც მოხდა საზღვარზე მდგომ ჯარის ნაწილების შორის, გათავებული იქნება მორი-გებით. სასომხეთის საბჭომ მისცა თავის მთავრობას შესაფერი წინადადება. სასომხეთის საბჭოს სწამს, რომ არავითარი გაუგებრობა ვერ შეარყევს საუკუ-ნოებრივ კავშირს, რომელიც არსებობს ამ ორ მოძმე ერთა შორის. საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცნობს, რომ საქართველოს პარლამენტი მიიღებს ყველა ზომებს, რათა მორიგებით გათავდეს ეს კონფლიქტი.

საბჭოს თავმჯდომარე **ააკაია.**

მთავრობის კანცელარიას ამასთანავე აქვს პატივი გაუწყოთ, რომ დეპეშამ დაიგვიანა იმის გამო, რომ დეპეშა არ მიუღია ტფილისის რადიო სტანციას.

თავმჯდომარე. უნდა მოგახსენოთ, რომ პარლამენტის წევრმა გაბაშვილმა ცოტა არ იყოს საყვედურით სთქვა, რომ დროზედ ვერ გაიგეს, რომ ლხდომაა, და ამიტომ იმათ სჯობდა ცარიელი არიან. ჩვენ ფრაქციის წარმომადგენლებს, რომელნიც აქ იყვნენ ვაცნობეთ და დღეს გახეთებში გამოვაცხადეთ. და რაც შეეხება იმას, რომ ნახევარ საათის განმავლობაში, ჩვენ ყველა ფრაქციის წევრს უწყება გაუგზავნოთ, ამის საშუალება არა გვაქვს. თუ ეს საყვედური საყვედური იყო, ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ჩვენ დადგენილება მივიღეთ დღეს უნდა დაგვენიშნა ლხდომა, და საშუალება არა გვქონდა, რომ ყველასთვის პირადად გაგვეგზავნა ეს უწყება, და აი, ჩვენ მივმართეთ გაზეთებს.

რაჟდენ არსენიძე. ნება მიბოძეთ განცხადება გავაკეთო ტელეგრამის შესახებ.

თავმჯდომარე. გთხოვთ წერილობითი შემოიტანოთ.

რაჟდენ არსენიძე. ეგ მართალია. წინასწარ წერილობით უნდა შემოვიტანოთ, მაგრამ, რადგან-ც ჩვენ არ ვიცოდით ამ ტელეგრამის შესახებ, ძალაუნებურათ რეგლამენტი ირღვევა. მე მინდა პარლამენტს წინადადება მივცე, რომ როდესაც ჩვენ რომელიმე პარლამენტი მოგვმართავს, რომელიმე მეზობელი გამოსთქვამს მშვიდობიანობის სურვილს, რომლის დემოკრატია ასე თუ ისე ზავის მშვიდობიანობის ნიადაგზე სდგას, იმას სათანადო პასუხი უნდა გავცეთ. მივანდოთ ჩვენ პრეზიდიუმს, რომ ასეთი პასუხი გაიგზავნოს სომხების ეროვნულ საბჭოს.

დავით ვაჩნაძე. (ადგილიდან) ქსნის ხიდი მოიგონეთ, ბატონებო, ქსნის ხიდი!

თავმჯდომარე. კრებას ვხურავთ.

კრება იხურება 3 საათსა და 45 წუთზე.